№ 119

შაბათი, 16 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 119

შაბათი, 16 ივლისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართ. ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად. **ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5. **საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.**

ქვრივი ნატალია ოქროს ასული თეთრაძისა შვილებით და ექიმი კონსტანტინე ივანეს ძე გძელიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 14 ივლისს, საღამოს 9 საათზე, ვერაგულად მოკლულ იქმნა

ნიკოლოოზ აბრამის ძე თეთრაძე

პირველის—მეუღლე, მეორეების—მამა და მესამის—სიმამრი. პანაშვიდები და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—1)

დოქტორი მედიცინისა

ვლ. ი. ინაშვილი

მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდე და საღამოთი 6—8 საათამდე შინაგანის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ.

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 31. (10—5)

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილლუსტრაცია.

ფასი 30 კაპ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან აკადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. **გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ხალხის აზრი

იმ დროს, როცა სახალხო მოძრაობა მთელს რუსეთში და კერძოდ ჩვენში გაერთიანებული და გაძლიერებული არ იყო, როცა ხალხის უკმაყოფილება მხოლოდ აქა-იქ, კანტი კუნტად იჩენდა ხოლმე თავს, როცა მოძრაობა ერთ მძლავრ ზვირთად არ იყო გადაქცეული და ამიტომ ცხოვრებაში ჩაუხედავ ადამიანს იგი უმნიშვნელოდ და ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობის წუთიერ შერყევად ეჩვენებოდა,—ბიუროკრატია არავითარ სერიოზულ მნიშვნელობას არ აწერდა სახალხო მოძრაობის კერძო ფაქტებს, ძველებურად ყველაფერს „ბლაგოპოლუჩნოდ“ სთვლიდა და მარტოდა „არა-კეთილსაიმედო“ პირთა ქადაგება მიაჩნდა „არეულობის“ გამომწვევ ერთად-ერთ მიზეზად მხოლოდ „არა-კეთილსაიმედო“ პირთა ბოროტი განზრახვა იყო, მისი აზრით, მიზეზი აქა-იქ ხალხის მოუსვენრობისა და აღელვებისა...

მაგრამ დღეს, როცა სახალხო მოძრაობამ კერძოობითი და დაქსაქსულად მოქმედების ხასიათი დაეკარგა, როცა უკმაყოფილება გაიზარდა და ყველგან დიდის ძლიერებით გამოიხატა, ბიუროკრატია იძულებული შეიქმნა ძველებური ახსნა და განმარტება საზოგადოებრივ მოვლენისა უკუეგდო და ეცნო, რომ ხალხის უკმაყოფილება გამოწვეულია თვით ცხოვრების მოუწყობლობისაგან და რომ ამ უკმაყოფილების მოსპობა და ხალხის დამშვიდება არ შეიძლება „არა-კეთილსაიმედო‘‘ პირთა ძებნით და ხალხისგან „ბოროტ-განმზრახველთა“ ჩამოშორებით ბიუროკრატია იძულებული გახდა მეტი ყურადღება მიექცია ხალხის მოთხოვნილებისათვის და ცოტათი დათმობის გზას დასდგომოდა ხალხის „უფლებათა“ შესახებ.

მაგრამ ერთი დამახასიათებელი თვისება ხალხის ბიუროკრატიულის წესით მართვა-გამგეობისა ის არის, რომ ეს მართვა-გამგეობა ყოველთვის ჩამორჩენილია მიმდინარე ცხოვრებისაგან, ცხოვრება ყოველთვის წინ უსწრობს ბიუროკრატიას და ამიტომ ყოველი ცვლილება, ყოველი რეფორმა, რომელსაც ძალა-უნებურად, ცხოვრების ძალდატანებით, ანხორციელებს ბიუროკრატია, გაჩენის დღესვე ძველი ხდება და ხალხის მოთხოვნილებას აღარ შეეფერება. ბიუროკრატიულ აზროვნების მექანიზმი ზანტად მუშაობს, ხოლო ცხოვრებამ არ იცის შეჩერება და საკანცელარიო ქაღალდების ლოდინი. აქედან წარმოსდგება ის ახირებული მოვლენა, რომ ბიუროკრატია თავის პროგრესიულ საქმიანობითაც ვერ იგებს ხალხის გულს, ვინაიდან ყველაფერი „ახალი“, რასაც იგი იგონებს და ხალხის დასაკმაყოფილებლად შემოაქვს ცხოვრებაში, დაძველებულია და ვერ აკმაყოფილებს წინ წასულ ცხოვრების მოთხოვნილებას.

მთელს რუსეთში და განსაკუთრებით ჩვენში სოციალური ცხოვრება იმდენად განვითარდა, ხალხის შეგნება და ცნობიერება იმდენად გაიზარდა, რომ ყოვლად შეუძლებელია ცხოვრების მოთხოვნილებანი წვრილმან ცვლილებებით დაკმაყოფილებულ იქმნეს და ხალხი დამშვიდდეს. დამშვიდება და მოქალაქობრივ ცხოვრების შეურყეველ მიმდინარეობის დამყარება მხოლოდ მაშინ იქმნება შესაძლებელი, როცა შეიქმნება პირობები მოქალაქობრივობის დაუბრკოლებელ განვითარებისა თითოეული წვრილმანი რეფორმა და წყობილების ცვლილება მხოლოდ დაკერება და „პაჩინკაა“ ძველის დაფლეთილ რეჟიმისა...

კავკასიის უმაღლეს მთავრობას განზრახვა აქვს ჩვენშიც შემოიღოს საერობო დაწესებულება, რომელიც შიდა-რუსეთში აგერ 40 წელიწადია არსებობს. ამის გამო დღეს ნამესტნიკის საბჭოში თათბირია გამართული, სადაც მოწვეულნი არიან, გარდა ჩინოვნიკებისა, ზოგიერთი გარეშე პირებიც,—მემამულენი, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი და სხვანი. მთავრობას სურს გაიგოს საზოგადოებისა და ხალხის აზრი და ამიტომ განზრახულია შესდგეს სამაზრო და საგუბერნიო საბჭოები, რომელშიაც მოწვეულნი იქმნებიან მემამულეებისა, გლეხებისა და ქალაქების არჩეული წარმომადგენელნი.

თუმცა ეს წესი რეფორმის შესამუშავებლად და ცხოვრებაში განსახორციელებლად ძველისგან ცოტათი განსხვავდება მაგრამ იმდენი განსხვავება მაინც არ არის, რომ ამის გამო ხალხისა და საზოგადოების მონაწილეობაზე შეიძლებოდეს ლაპარაკი. საბჭოებში მიწვეულ „წარმომადგენლებს“ არავითარი გადამწყვეტი ხმა არა აქვთ,—იმათ მხოლოდ რჩევის მიცემა შეუძლიანთ მთავრობისათვის და ეს რჩევა და აზრი არავისთვის სავალდებულო არ არის. თვით წარმომადგენლების არჩევის წესიც არაა დამყარებული საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპზე და არც უზრუნველყოფილია ადმინისტრაციის გავლენისაგან, ასე რომ დასაარსებელ საბჭოებში ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები ვერც კი მოხვდებიან.

და ასეთ წარმომადგენლებისაგან გამოთქმული აზრი, რასაკვირველია, არ იქნება ხალხის აზრი. ამგვარის წესით გაგებული აზრი, ვერც ერობის და ვერც სხვა საკითხების შესახებ, ვერ გამოხატავს ხალხის სურვილსა და საჭიროებას და ამიტომ მთავრობასაც ვერ მისცემს უტყუარ საფუძველს ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებებზე სწორე შეხედულების შესადგენად.

ხალხის ნამდვილი აზრის გაგება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მთავრობა საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე ხალხს ძალდაუტანებლად წარმომადგენლებს ამოარჩევინებს და ამ ამორჩეულებს როგორც ერობისა, ისე სხვა ძირითად საკითხების შესახებ თავის აზრს თავისუფლად გამოათქმევინებს და ამ გონებრივ მუშაობაში საზოგადოებასაც თავისუფალ პრესსის საშუალებით იდეურ მონაწილეობას მიაღებინებს...

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

14 ივლისი

პეტერბურგი. გენერალ ადიუტანტის კოზლოვის ადგილას მოსკოვის გენერალ-გუბერნატორად სახელმწიფო საბჭოს წევრი, პეტერბურგის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, დურნოვო, დანიშნა.

მოსკოვი, 14 ივლისი. მდინარე მოსკოვზე ამ დღეებში ნიჟნი-ნოვგოროდთან სამგზავრო მიმოსვლა დაიწყობა.

კიევი, 14 ივლისი დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მოსკოვში წავიდა.

ფეცი, 14 ივლისი. სულთანმა ხელი მოაწერა იმ ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც გერმანიას ნება ეძლევა ტანჟერში ქვითკირის ჯებირი ააგოს.

ვარშავა, 14 ივლისი. ნოვომინსკში გუშინ ბრაუდეის ჯგუფი, რუდსკის ქარხნის მუშათა დახმარებით, ქურდებს დაეცა და გაჰფანტა. ქურდები ზოგი მიიმალა, ზოგი ვარშავისკენ გაიპარა. ეს ქურდები მეტად აწიოკებდნენ და ხოცავდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა.

ფილადელფია, 14 ივლისი. ჩინეთის გემ „გართანა“-ზე მეზღვაურებში ბერიბერი გაჩნდა. ხუთის ავათმყოფიდან, ორი გარდაიცვალა.

ადენი, 13 ივლისი. კრეისერმა „კუბან“-მა სავაჭრო გემი გააჩერა, გაჩხრიკა და მერე გაანთავისუფლა.

შერბურგი, 14 ივლისი. პირველს საათზე ვიტტე გემ „კაიზერ ვილჰელმით“ ნიუ იორკში წავიდა.

ტოკიო, 14 ივლისი. ამერიკის სამხედრო მინისტრი ტაფტი და რუზველტის ქალი ალისა გუშინ იმპერატორმა აუდიენციაზე მიიღო. აუდიენციის შემდეგ ბანკეტი გაიმართა.

ლონდონი, 14 ივლისი. რეიტერის სააგენტოც ამოწმებს იმ ცნობას, რომ სექტემბერში ბრიტანიის ესკადრა ლამანშის არხში და ბალტიის ზღვაში შევაო. ფიქრობენ, ესკადრა 7 აგვისტოს გაემართებაო. ესკადრა აქითკენ მხოლოდ უბრალო აღლუმისთვის მიდისო.

ქრისტიანია, 14 ივლისი. (რიტცაუ) როგორც ხმები დადის, მთავრობას სურს წინადადება მისცეს სტორტინგს, სახალხო კენჭის ყრას მხარი დაუჭიროს.

ოდესა, 14 ივლისი. გამოქვეყნებულია გენერალ-გუბერნატორის შემდეგი განკარგულება: ხმა გავრცელდა, ვითომ მთავრობის დახმარებით ქალაქში აგიტაციას ახდენენ ებრაელთა ინტელიგენციის ამოსაწყვეტად. ამის გამო ჩემს თავს მოვალედ ვსთვლი, განვაცხადო, რომ რაგვარი უწესოებაც კი მოხდეს, მთავრობა ყოველთვის იზრუნავს, ეს უწესოებანი მოისპოს და დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს. სწორედ ამავე გზას ვადგივარ მე ოდესაში. თუ მოხდა რაიმე უწესოება, მთავრობა უკიდურესს ზომებს მიიღებს მათ მოსასპობად და, მიუხედავად დამნაშავეთა სარწმუნოებისა და წოდებისა, დაისჯებიან სამხედრო დროის წესებით. ტყუილია ის ხმა, ვითომ მთავრობა ხელს უწყობდეს აგიტაციას ებრაელთა ინტელიგენციის ამოსაწყვეტად. წერილების კილოდან და ყველაფრიდან ნათლად სჩანს, რომ ამ ხმებს თვითონ ებრაელები ავრცელებენ. ეს იმითაც მტკიცდება, რომ დაპატიმრებულთა უმრავლესობა არიან ებრაელები, რომელნიც უწესოების დროს ჯარსა და პოლიციას ესროდნენ და იარაღს მთავრობის ნება-დაურთველად ატარებდნენ. ყუმბარებსაც ებრაელები ამზადებდნენ და ინახავდნენ. ებრაელები ყოველთვის წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას და სხვებსაც აქეზებენ. ამიტომ ოდესაში მცხოვრებ გავლენიან და პატიოსან ებრაელებს ვსთხოვ, ყოველგვარი საშუალებანი იხმარონ, თავიანთი მოძმეების დასამშვიდებლად. ერთხელ კიდევ ვუთითებ ებრაელებს სამხედრო დროის წესებზე და ვიმეორებ, რომ ჩემის მხრივ უწესოების მოხდენის დროს უკიდურეს ზომებს მივიღებ.

თეირანი, 14 ივლისი. რუსეთის ვაჭრების წარმომადგენელმა ტრელეცკიმ ქიმრანში გამოგზავნა თეირანში რუსეთის ბანკისგან შედგენილი კოლექცია სხვადასხვა საქონლისა, რომელიც შეეფერება ადგილობრივ მცხოვრებთა გემოვნებასა და ჩვეულებებს. ტრელეცკის დიდძალ საქონელს უგზავნიან.

პილაუ, 14 ივლისი. დილის 7 საათზე გემ „ჰოგენცოლერნ“-ით მოვიდა გერმანიის იმპერატორი.

რეველი 14 ივლისი. კრეისერ „აზია“-თი მოვიდა საზღვაო მინისტრი.

სტოკჰოლმი, 14 ივლისი. კომისიის მოხსენება ნორვეგიასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ ორივე პალატამ მიიღო.

მეშხედი, 14 ივლისი. აქ განიზრახეს რუსული კლუბის დაარსება. საბზავარში სპარსეთის გამსესხებელ ბანკის სააგენტო დაწესდა.

ხერსონი, 14 ივლისი. ოდესის სამხედრო-საოლქო სასამართლო 31 პატიმართა საქმის გარჩევას შეუდგა. ამათ დისციპლინარულ ბატალიონის პოლკოვნიკ დავიდოვის მოკვლა ბრალდებათ

პიატიგორსკი, 14 ივლისი. გუშინ საღამოთი რევოლვერით მოჰკლეს ბაქოელი ნავთის მწარმოებელი ჩახმახსაზოვი. რევოლვერი ორჯერ დასცეს

პეტერბურგი, 14 ივლისი. რადგან მთელს იმპერიაში არსად არის ხოლერა და სპარსეთშიაც ჯანმრთელობაა, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მიმდინარე წელში ხოლერა შესამჩნევად ვერ იჩენს თავს. ამის გამო საექიმო მთავარ გამგეობის ინსპექტორმა კითხვა აღძრა ახლო მომავალში თან-და-თან შემცირდეს გასაფრთხილებელი ზომები. პირველ ხანად ეს ზომები შემცირდება იმ გუბერნიებში, სადაც წარსულს წელს იყო ხოლერა. განზრახულია ვოლგაზე რამოდენიმე სამკურნალო სათვალყურო პუნქტები მოისპოს და რამდენიმე ექიმი, რომლებიც ვოლგის მიდამოებში ხოლერასთან საბრძოლველად იყვნენ გაგზავნილნი, უკან დაიბარონ.

კავკასიის სამიწად-მოქმედო და მიწად-მფლობელობის მთავარ გამგეობის უფროსი აგრონომი სტაროსელსკი ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწის აღმასრულებლად დაინიშნა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

14 ივლისი

ტოკიო, 14 ივლისი. ოფიციალური. კატოსკო იუწყება, რომ იაპონელებმა 10 ივლისს არკაიასთან გადასასვლელი ადგილები დაზვერეს. მეორე დღეს გაიგზავნა საზღვაო დესანტი, რომელსაც არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. არკაი იწვის. ალექსანდროვსკი უვნებელია. იაპონელებმა თავისი ბაირაღი აღმართეს.

ტოკიო, 14 ივლისი. სახალინში დატყვევებულ ოფიცრებს ხიროსაკში დაასახლებენ. უნტეროფიცრებსა და სალდათებს კა-ხორონინო. 47 სამოქალაქო სამსახურში მყოფ პირს და 60 ქალს კი გაანთავისუფლებენ. რუსების უმთავრესი ძალები სახალინში ალექსანდროვსკიდან 25 მილის სიშორეზე თავ-მოყრილი ამბობენ, მანჯურიიდან ორ-სამ კორპუსს კიდევ მიუმატებენო.—„კოკუმინ“-ი ამბობს, იმპერატორების შეხვედრის გამო ატეხილი აყალ-მაყალი სრულიად უსაფუძვლოაო.

ბერლინი, 14 ივლისი. იაპონიის ავტორიტეტიულ წყაროების თანახმად, ზავის შესახებ მოლაპარაკებაში ვლადივოსტოკს დიდი მნიშვნელობა ექნება. იაპონია ციხის დანგრევას არ მოისურვებს, მაგრამ იმას კი მოითხოვს, რომ ვლადივოსტოკში წინანდებურად პორტო-ფრანკო იქმნეს გამოცხადებული. ნიუ-იორკის გუშინდელ ცნობას იმის შესახებ, ვითომც იაპონია მანჯურიაში მხოლოდ თავისუფალ ვაჭრობას თხოულობსო, დიპლომატიურ წრეებში ძალიან უნდობლად ექცევიან და იმას კი ადვილად შესაძლებლად სცნობენ, რომ იაპონიამ სახალინის დათმობა მოითხოვოს.

გოძიადანი, 14 ივლისი. ჩინელებმა რუსის რამდენიმე სალდათი მოჰკლეს. დილით მოკლული კაზაკთა ოფიცერი იპოვეს. ჩინელების სიტყვით, როდესაც იაპონელები ივლისის დასაწყისში მანდარინის გზით ლიამიაოსკენ გაემართნენ, უკან ჩინელი მაწანწალები მისდევდნენ. როდესაც იაპონელები წავიდნენ, მაწანწალები სოფლებში მიიმალნენ, რუსებს თვალყურს ადევნებდნენ, ჯაშუშობდნენ და სალდათებს ატყვევებდნენ. ჩინელების სიტყვით, იაპონელები თითო ტყვეში 25 მანათს აძლევდნენ, თითო რუსის ჯაშუშში—100 მ. ამიტომ ჩინელები რუსის სალდათებს დაიჭერდნენ ხოლმე, ჩინურ ტანისამოსს ჩააცმევდნენ და იაპონელებს წარუდგენდნენ ხოლმე, როგორც ჯაშუშებს.

ტოკიო, 14 ივლისი. იაპონურ გაზეთების სიტყვით, რუსები უბრძოლველად არ დაანებებენ იაპონელებს ტუმენის სამხრეთით მდებარე კიონსიონს, რომელიც ვლადივოსტოკის პირველი კარებია და სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანია.

ტოკიო 14 ივლისი. 12 ივლისს იაპონელებმა სახალინზე აიღეს ალექსანდროვის პოსტი.

ვლადივოსტოკი, 14 ივლისი. აფეთქებულ „იზუმრუდის“ კომანდა—ოფიცრები და 328 მეზღვაური, მათ შორის 6 დაჭრილი,—მოვიდნენ. ესენი 26 დღე წმ. ოლგას ნავთსადგურში ყოფილან და 26 დღეს ვლადივოსტოკამდე ფეხით გამოსვლას 21 მოსდომიან. გემის უფროსი კომანდას არ მოჰშორებია.

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა 12 ივლისის თარიღით: მოხსენება მივიღე, რომ 11 ივლისს შეუმჩნევიათ კონტრ ნაღმოსნები, რომელნიც დეკასტრის კანდელისაკენ მიემართებოდნენო. ნაშუადღევის 1 საათ. და 25 წუთზე დეკასტრის ყურეზე იაპონელებმა ერთი ბატალიონი გადასხეს და თავისი დროშა აღმართეს.

შერბურგი, 14 ივლისი. ვიტტე ნაშუადღევის 4 საათზე მოვიდა შერბურგს და დღეს დილით მიემგზავრება. გზა-და-გზა ,,მატენის‘‘ რედაქტორი ესაუბრა ვიტტეს, რომელმაც განუცხადა, საფრანგეთის დახვედრით დიდად კმაყოფილი ვარ და რუსეთისადმი მისი გულწრფელი თანაგრძნობა სასიამოვნოდ დამრჩაო. ვიტტემ ისიც უთხრა, რომ გაზ. „ასოსიეტედ პრესის“ წარმომადგენელს რაც ცნობები მივეცი, იმის მეტს აღარას ვიტყვიო, და აფრთხილებს საზოგადოებას, იმის გარეშე არაფერი დაიჯერონ, თუ სხვა მომაწერეს რამეო. საერთო თანაგრძნობის გამოცხადება ვიტტეს ნაკისრ მოვალეობას უმსუბუქებს.

ვაშინგტონი, 14 ივლისი. „ასოსიეტედ პრესის“ კორესპონდენტი სწერს, რომ ზავის ბედი პირველსავე კრებაზე გადასწყდებაო. კომურა 23 ივლისამდე წარუდგენს ვიტტეს იაპონიის მოთხოვნილებას. იაპონიას სულაც არა სურს რუსეთის ღირსების შელახვა, მაგრამ ზავის მკვიდრ ნიადაგზე დასამყარებლად და ხანგრძლივად უზრუნველსაყოფელად ომზე დახარჯულს ფულს მოითხოვს არა უმეტეს ორას მილიონის გირ. სტერლინგისაო (თითქმის ორი მილიარდი მანათია). ამის შემდეგ იაპონია მოითხოვს, რომ მანჯურია ჩინეთს დაუბრუნდესო.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი. უცხოეთის გაზეთებს გაუგიათ, რომ აიღებენ თუ არა იაპონელები სახალინს, ომი შესწყდება, თუმცა კი ზავი ოფიციალურად მალე არ ჩამოვარდება. მიზეზი დაგვიანებისა ის არის, რომ აღმოჩნდა მრავალი საკითხი, რომელსაც ევროპის სახელმწიფოთა დაუკითხავად მარტო იაპონია და რუსეთი ვერ გადასწყვეტენ. უცხოეთის დიპლომატები გაფაციცებით მუშაობენ და საქმეში ჩარევას აპირობენ. დღეს თუ ხვალ ევროპა ლაპარაკს აღძრავს იმის შესახებ, რომ შორეულ აღმოსავლეთის საქმის გადაწყვეტაში ევროპის სახელმწიფოებიც ჩაერივნენ. რუსეთი და იაპონია ამის წინააღმდეგნი არიან, მაგრამ, როგორც ამბობენ, ევროპა მაინც თავისას გაიტანს და კონფერენციას მოიწვევს. დიპლომატების სიტყვით, რუსეთი იაპონიას კონტრიბუციას უეჭველად გადაუხდის, მაგრამ ისე კი, რომ მისი თავმოყვარეობა არ შეილახოს. რუსეთი თავის თავზე აიღებს იმ ვალს, რომელიც იაპონიამ ისესხა საზღვარ გარედ.

რუსეთის ფლოტის ბედი. პორტ-არტურში ჩაძირული რუსეთის გემები იაპონელებმა მშვენივრად გამოიყენეს: ამოიღეს ჯავშნოსანი ,,პერესვეტ‘‘-ი, რომელიც თავის მანქანებით დადის. აგრეთვე ამოიღეს ორი კრეისერი—,,პალლადა‘‘, ,,ბაიანი‘‘ და ,,ვარიაგ‘‘-ი და ორიოდე თვის შემდეგ სულ შეაკეთებენ. აგვისტოში ამოიღებენ კიდევ ორ ჯავშნოსანს—,,რეტვიზანსა‘‘ და ,,პობედას‘‘. დაიღუპნენ მხოლოდ ,,სევასტოპოლი‘‘ და ,,პოლტავა‘‘. მომავალ გაზაფხულს იაპონელებს ეყოლებათ მშვენიერი ესკადრა რუსების გემებისაგან: ჯავშნოსნები ,,ორიოლი‘‘, ,,რეტვიზანი‘‘, ,,პობედა‘‘, ,,პერესვეტი‘‘, ,,ნიკოლოი I‘‘, ,,აპრაქსინი‘‘ და ,,უშაკოვი“, კრეისერები: ,,ვარიაგი‘‘, ,,ბაიანი‘‘, ,,პალლადა‘‘, ორი კანონერკა, ოთხი ნაღმოსანი და სამოცამდე სავაჭრო გემი. მარტო სამხედრო გემების წყალ-წყვა შეადგენს 100 ათას ტონნას. ამ ესკადრას იაპონიის ესკადრაც რომ მივუმატოთ, ამომავალ მზის ქვეყნის ესკადრა შორეულ

აღმოსავლეთში უძლიერესი ესკადრა იქნება. სამიოდე წლის შემდეგ კი, როცა დაწყებულ გემებსაც დაამთავრებენ, იაპონიის ფლოტი გერმანიის ფლოტსაც გადააჭარბებს (კ. გ.).

რუსეთისა და იაპონიის გენერლების ჯამაგირი. „კენიგ ცაიტ“-ს სიტყვით, ნიჭიერ იაპონელ გენერლებს, უნიჭო და მუქთახორა რუს გენერლებთან შედარებით, მეტად მცირე ჯამაგირი აქვთ. იაპონიის მთავარსარდალს, მარშალ ოიამას წელიწადში 8,015 მან. ეძლევა, პორტ-არტურის გმირს ნოგის—5,400 მან., კუროკის—5,150 მ. რკინის მარშალ ოკუს—5,150 მ. „თავხედ მამაცს, მარშალ ნოძუს—4,900 მან., სულ ხუთსავე გენერალს ეძლევა 26575 მან. რუსეთის სარდლებს: ლინევიჩს—150,000 მან., კუროპატკინს, კაულბარსსა და ბატიანოვს—თითოს 110,000 მან., ალექსეევს მაისის დამლევამდის ეძლეოდა 120,000 მან. სულ—ხუთსავე სარდალს 600,000 მან. ე. ი. რუსეთის ხუთ უნიჭო სარდალს ეძლევა თითქმის 25-ჯერ მეტი, ვიდრე იაპონიის გენიოსებს. „თუ წარმოვიდგინეთ,—სწერს ზემოხსენებული გაზეთი,—რომ რუსეთის დანარჩენ ურიცხვ გენერლებსა და ოფიცრებსაც შედარებით ასეთი ჯამაგირი ეძლევათ, ცხადი ხდება რუსეთის გაკოტრების მიზეზი. (რ. ს.).

ახალი ამბავი

დღეს, ნამესტნიკის სასახლეში, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის თავმჯდომარეობით, **მოხდება კრება საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ სათათბიროდ.** ამ კრებაზე მიწვეულნი არიან ტფილისის გაზეთების რედაქტორები, ტფ. გუბერნიისა და მაზრების თავად-აზნ. წინამძღოლნი, ქალაქის მოურავი ქ. ვერმიშევი, თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, თავ. ვ. ს. მიქელაძე და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომელთაც კი რაიმე დამოკიდებულება აქვთ კავკასიის სამეურნეო ნაწილთან. მოწვეულია სულ 60 კაცი.

✦ 13 ივლისს მოხდა **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება.** საზოგადოებამ ამ დღეს გაიცნო ნამესტნიკის კანცელარიისმიერ შედგენილი მოხსენება საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ და შემდეგ აარჩია წარმომადგენელნი იმ კრებაზე დასასწრებლად, რომელიც დღეს, 16 ივლისს, მოხდება ნამესტნიკის თავმჯდომარეობით. არჩეულ იქმნენ: ვ. ი. რცხილაძე, ა. ს. ფირალოვი და ე. ო. იოსელიანი.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრმა, გრ. ივ. გველესიანმა **კავკასიის ნამესტნიკის წინაშე** შუამდგომლობა აღძრა ქ. ქუთაისში **ქართულ ენაზე ყოველდღიურ გაზეთის უცენზუროდ გამოცემის შესახებ.** გაზეთს სახელად „განახლება“ ერქმევა

✦ ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებლად გუბერნიის **ჟანდარმთა უფროსის** თანაშემწე, **როტმისტრი ცისსი დაინიშნა.**

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ განყოფილებაში, 14 ივლისს, ხალხის დაუსწრებლად, **გაირჩა საქმე ავაქიმ არუთინოვისა,** რომელსაც პოლიტიკურ მოსაზრებით მკვლელობა ჰბრალდებოდა. პალატამ ბრალდებული გაამართლა.

✦ ამას წინად, სოხუმში, ქუჩაში მოჰკლეს მეწვრილმანე კარტ-ვა. ამ გარემოებამ სოხუმელები დააღონა, რადგან ქალაქში **ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა საშინლად გავრცელებულა.** მცხოვრებლებს დაუკარგავთ პოლიციის იმედი და გადაუწყვეტიათ, მოჰკრიბონ ქალაქში ცნობილი ქურდ-ბაცაცები და ღირსეულად გაასამართლონ. ამგვარი ქურდები ქალაქში 50 მეტი ყოფილა, მაგრამ ხალხს 19-ის მეტი ვერ აღმოუჩენია. ეს 19 კაცი ამორჩეულ კომისიას, რომელსაც 15 კაცი შეადგენდა, ქალაქ გარედ გაუყვანია და აუარებელი ხალხის თანადასწრებით პირველ დღეს მხოლოდ ჩვენება ჩამოურთმევია, მეორე დღეს კი დამსწრე ხალხისთვის თავისი განაჩენიც გამოუცხადებია, რომლითაც 17 კაცისთვის ქალაქიდან გაძევება გადაუწყვეტია, ორისთვის კი პატიოსანი სიტყვა ჩამოურთმევია, რომ შემდეგში ისე აღარ მოიქცევიან და გაუნთავისუფლებიათ (ჩერნ. ვესტ.).

✦ რაჩიკეისკის აგარაკში (ბორჩალოს მაზრაა) 10 ივლისს ვიღაც უცნობი კაცები თოფის წამლის საწყობს დაეცნენ და **რამდენიმე ფუთი დინამიტი გაიტაცეს.**

✦ გლეხთა მოძრაობის გამო, გორის მაზრაში გაგზავნილმა გენ. ი. გ. ამილახორმა **ტფილისიდან გაიწვია** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თავ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი.

✦ „ჩერნ. პობ.“-ს სიტყვით, სოხუმის ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი **სერაფიმი შუამდგომლობს,** სოხუმის კათედრა და ქუთაისის სასულიერო სემინარია ნოვოროსისკში გადიტანონ.

✦ რადგანაც კავკავის რკინის გზაზე **მემანქანენი და დეპოს მოხელე-მუშები გაიფიცნენ** და მატარებლების მიმოსვლა სრულიად შესწყდა, გარდა ბალაჯარიდან ბესლანამდე, როგორც გავიგეთ, ტფილისში მყოფი რკინის გზის ბატალიონი კავკავის გზაზე გაიგზავნება.

✦ სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკში **მოხდა საჯარო ვაჭრობა იმ მამულებისა,** რომელნიც ბანკმა ვერ გაჰყიდა წინანდელ ვაჭრობით. სულ გაიყიდა 10 მამული, ბანკს 14 მამული დარჩა.

✦ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულთან **შემდგარა განსაკუთრებული კომისია,** რომელიც გადმოსახლების საქმეს განაგებს კავკასიაში. უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, ნამესტნიკმა გასკარგულება მოახდინა: რადგანაც რუსთა გადმოსახლება შეჩერებულია იმ მოსაზრებით, რომ თავისუფალი მიწები აქაურ უმიწაწყლო გლეხებს უნდა დაურიგდეს, მთელი კომისია პირველ იანვრიდან უნდა გაუქმდეს.

✦ **ზაქათალიდან** გვატყობინებენ, რომ 14 ივლისს, ღამე, ქუჩაში მიმავალ ტეხნიკს საფრონოვსა და მასწავლებელს იაროცკის უცნობმა თოფი ესროლა და **მძიმედ დასჭრა მასწავლებელი იაროცკი.** ამბობენ, საფრონოვის მოკვლა უნდოდათო, რადგან ბევრი მტრები ჰყავსო.

✦ იმავე დღეს თავს დაესხნენ ზაქათალის ოლქის უფროსს **პოლკოვნიკ პავლოვს.** ერთი ოთხი სტრაჟნიკიდან მოუკლეს, ერთიც დაუჭრეს.

✦ ქალაქის კასიდან ამას წინად **ერთის წევრის განკარგულებით ინჟინრებს სარქისიანცსა და რუბენს 1500 მანათი მიეცა** ქალაქის საყასბოს პროექტის შესადგენად. ამჟამად ამ ინჟინრებმა ხელმეორედ სთხოვეს ქალაქს, ფული დაგვაკლდა და კიდევ მოგვეცითო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: რადგანაც მათ ამ პროექტისათვის არავითარი მსვლელობა არ მიუციათ, მოეთხოვოს მათ ეს პროექტები უკანვე და იმ პირმა კი, ვისი წყალობითაც ეს ფული მათ ქალაქის კასიდან მიიღეს, გადიხადოს ეს 1500 მანათი ან სამართალში იქმნას მიცემულიო.

✦ 13 ივლისს თელავიდან ტფილისში მომავალი ომნიბუსი უჯარმასა და გომბორს შუა ვიღაც **უცნობებმა გააჩერეს და გაძარცვეს.**

✦ ფრანც ვაგნერის ფირმას განუზრახავს წალკიდან ტფილისში **წყლისაყვანის გაკეთება** და პროექტის შესადგენად ქალაქის გამგეობიდან საჭირო მასალები მოუთხოვნია.

✦ ხუთშაბათს, 14 ივლისს, მეთხე საპოლიციო უბანში, ამაღლების ქუჩაზე, იმ ადგილას, სადაც კოჯორისაკენ გზა უხვევს, წყაროსთან, სადამოს 9-ის ნახევარზე, თავის სახლის წინ სეირნობდა მუხრან ბატონის მოურავად ნამყოფი თეთრაძე. მასთან ახლო მეეზოვე იდგა და ესაუბრებოდა. როცა მეეზოვე წასულა, **თეთრაძესთან მივარდნილა ვიღაც უცნობი კაცი, ორჯერ რევოლვერი დაუხლია** და გაქცეულა. დაჭრილი თეთრაძე მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაშივე გარდაიცვალა.

✦ დუშეთის მაზრაში მცხოვრებმა გლეხებმა **თანხმობა განუცხადეს მამასახლისების არჩევაზე**' მხოლოდ სამამასახლისო რაიონები შემცირებულ იქმნას. ყოველი ორასი კომლი მცხოვრები ერთ სამამასახლისო ერთეულს შეადგენს. ასეთი წესით მამასახლისი აირჩია საგურამომ და მის ახლო-მახლო სოფლებმა.

✦ ბაქოდან ჩამოვიდნენ თათრულ გაზეთის „ჰაიათის“ რედაქტორი ახმეტ-ბეგ აღაევი და ა. ნ. დოსტაკოვი და ბაქოელ დაზარალებულთა კომიტეტის პირით აქაურ სომეხ-თათართა დასამშვიდებელ კომიტეტის წევრებთან ერთად კრება გამართეს. ბ.ბ. აღაევმა და დოსტაკოვმა კრებას განუცხადეს, რომ ჩვენის კომიტეტის დადგენილებით, ყველა **ადგილობრივმა გაზეთებმა არავითარი ცნობები არ უნდა ბეჭდონ,** რადგანაც ეს ხალხს აღელვებსო.. შეერთებულმა კრებამ დაადგინა საბოლოო აზრის გადასაწყვეტად ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებიც მიიწვიოს.

✦ ქიათურა. 24 ივნისიდგან ათ ივლისამდე შავიქვით ვაგონების დატვირთვა მუშების გაფიცვის გამო შეწყვეტილი იყო, რადგანაც აუარებელი შავი ქვა ჩასატანი ფოთში, ამისათვის მის გადასატანად ყოველ დღე თორმეტი წყვილი მატარებელი დანიშნეს. დღეში ორას ოცი ვაგონი უნდა გადაიტანონ.

✦ ადელხანოვის სახელოსნოში ძუმა სარქის თურუნჯევმა ჩხუბის დროს მაკრატლით დასჭრა გამომჭრელი ვიტკალოვი, დამნაშავე შეიპყრეს, დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 14 ივლისს, მედუქნე ილია ჯანკარაშვილმა განაცხადა პოლიციის მესამე ნაწილში, სკივრიდამ 800 მანათი მომპარესო და ეჭვი თვისს მსახურზე, სოფელ სართი-ჭალის მცხოვრებ გიორგი აბელაშვილზე მიიტანა. აბელაშვილი დაატუსაღეს.

✦ 12 ივლისს რიყის ქუჩაზე, ვორონინის სახლში მცხოვრებ ტფილისის მოქალაქის არტემ იოსების ძე ძერაბოვის სადგომიდან ვიღაც ბოროტ გამზრახველს მოუპარავს ხუთი ას-ას მანათიანი ქაღალდის ფული შემდეგის ნომრებით №№ 53—57. გარდა ამისა წაუღია ორი ვექსილი, ერთი ოთხას მანათისა, მეორე ოცთასისა.

✦ ბოქაულმა ე. გუგუშვილმა შეიპყრო ნ.თაძის მკვლელები. იგინი აღმოჩნდნენ „სატოის“ მებორნენი ხაჩატურ მიქაელიანი და მისი შვილი კარაპეტა. ამათვე აღმოაჩნდათ ის ნივთები, რომელიც ამას წინად გ. ბეგთაბეგოვს წაართვეს გზაზე.

✦ დიდუბის სამკურნალოს ექიმად დაინიშნა ბერნის უნივერსიტეტში კურს-დამთავრებული ქ-ნი ე. ლ. კაირამსკისა ხოლო ცენტრალურ სამკურნალოში კი—ლ. ი. ბერარამენდიკერი.

✦ ყრუ-მუნჯთა სასწავლებელი გადავიდა პოლიცმეისტერის კანცელარიის მმართველის კურისის სახლში, თაიროვის ქუჩაზე.

✦ სად. ქიათურა, 14 ივლისი. დილის 8 საათზე, მატარებელი № 428 დაეწია ვაგონეტკას, რომელზედაც იჯდა ლიანდაგის ნაწილის უფროსი ინჟენერი თუმანაშვილი მუშებით და გზას ათვალიერებდა. ვაგონეტკა დაიმტვრა, ზედ მსხდომნი უვნებლად გადარჩნენ.

ჯონ რედმონდი

ირლანდიის პარტიის ბელადი ინგლისის პარლამენტში

(პიმენოვის თხზულებიდან)

როცა ირლანდიის „დაუგვირგვინებელ მეფეს“—ირლანდიის ხალხის ბელადს—პარნელს დაატყდა უბედურება, რომელმაც იმასაც ბოლო მოუღო და იმის ერსაც ათასი მშვენიერი იმედი გაუქარწყლა, ირლანდიის მეორე ახალგაზდა დეპუტატი, რედმონდი, პარნელს არ გადაუდგა და უკანასკნელ წუთამდის პარლამენტში საოცარის სიმხნევითა და გაფაციცებით იცავდა მას. ამის შემდეგ ირლანდიის პარტიაც ორ ნაწილად გაიყო. უმეტესობა პარნელს განზე გაუდგა, უმცირესობა კი, ჯონ რედმონდის მეთაურობით, ერთგულად ემხრობოდა ირლანდიის თავისუფლებისათვის მებრძოლს. რედმონდი ამტკიცებდა, რომ პარნელის კერძო ცხოვრებას იმის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან არავითარი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდესო და უსამართლობა იქნება, თავი დავანებოთ ჩვენს ბელადს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ვიღაც დედაკაცის ისტორიაში ჩაერიაო. ირლანდიელებისთვის სულ ერთი უნდა იყოს,—ამბობდა რედმონდი,—როგორ ცხოვრობს მათი ბელადი, რომელმაც ჩვენს ქვეყანას დაუფასებელი სარგებლობა მოუტანა, და არ უნდა დაივიწყონ, რომ მათ დიდი ვალი მართებთ პარნელისა. რედმონდი ამას დაჟინებით ამტკიცებდა და დღესაც ამ აზრისაა.

ნამდვილად ჯონ რედმონდი პარნელის მეგობრად არ ითვლებოდა. ის უბრალო სალდათი იყო ირლანდიელ დეპუტატთა პოლკისა და პარნელიც არ აქცევდა იმის ყურადღებას და არც იმის ნიჭისა სწამდა რამე. მერე, როცა ირლანდიის პარტიის უმეტესობამ პარნელის მაგივრად ახალი ბელადი აირჩია, პარნელის მომხრე უმცირესობამ ჯონ რედმონდი წინ გაიძღოლა და მას შემდეგ მან პარლამენტში შესამჩნევი ადგილი დაიჭირა. ირლანდიის ჯგუფს გაყოფამ ბოლო მოუღო იმ მედგარ იერიშებს, რომელიც პარნელს მიჰქონდა ხოლმე ინგლისელებზე. იმის სიკვდილის შემდეგ ეს ორი ჯგუფი თუმცა სავსებით არ შერიგდა, მაგრამ მაინც შეთანხმდა და ისევ გაერთიანებულის ძალ-ღონით დაიწყეს ბრძოლა. პარნელის მოწინააღმდეგეთა ბელადმა, ჯონ დილლონმა, ავადმყოფობისა გამო, უარი განაცხადა პარტიის მეთაურობაზე. ამის გამო, სანამ პარლამენტის კრებები დაიწყებოდა, ირლანდიის ორივე ჯგუფი შეიკრიბა და ბელადობა პარნელის მომხრეს, ჯონ რედმონდს სთხოვა. ამრიგად, პარნელის შემდეგ ირლანდიის შეერთებულმა პარტიამ თავის მეთაურად ჯონ რედმონდი გამოაცხადა.

თუმცა, მართალია, ეხლა ირლანდიის პარტიას ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორიც პარნელის დროს ჰქონდა, მაგრამ რედმონდის მნიშვნელობა პარლამენტში მაინც საკმაოდ დიდია. ირლანდიის საპარლამენტო ჯგუფის ბელადს რედმონდს თვითონ ინგლისისთვის ამჟამად გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ირლანდიის სხვა რომელსამე ბელადს ჰქონია წინად. ინგლისისთვის თვით დიდებულ პარნელსაც არა ჰქონია ასეთი დიდი მნიშვნელობა. პარნელი არსებობდა მხოლოდ ირლანდიისათვის და იმის დროს ინგლისელთა და ირლანდიელთა შორის დამოკიდებულება მეტად გამწვავებული იყო, ასე რომ, პარნელისტებთან შეთანხმება სხვა რაიმე საქმეში, გარდა იმ საკითხებისა, რომელიც ირლანდიას შეეხებოდა, შეუძლებელი იყო. მართალია, თუმცა ინგლისელთა ზოგიერთა დასები ეხლაც მტრულად უცქერიან ირლანდიელებს, მაგრამ თვითონ მთავრობა აღარ ცდილობს ამ ორის ეროვნების გადაკიდებას. გარდა ამისა, ინგლისის დემოკრატია თანდათან მტკიცდება; დემოკრატიულ და სოციალურ რეფორმებს პარლამენტში მხოლოდ ირლანდიის ნაციონალისტები უჭერენ მხარს. ეხლა ისე არც ერთი დემოკრატიული მოძრაობა არ დაიწყება ინგლისში, რომ სხვა მოთხოვნილებებთან ერთად ზედა-პალატის რეფორმაც არ მოითხოვონ. ამისთვის კი აუცილებლად საჭიროა ირლანდიის ნაციონალისტებისა და მათის ბელადის, რედმონდის, დახმარება. ამჟამად ინგლისის პარლამენტში ერთად-ერთ დემოკრატიულ პარტიას ირლანდიის ნაციონალისტები შეადგენენ. ინგლისის დიდ სამრეწველო ქალაქების წარმომადგენლნი იძულებულნი არიან სამეგობროდ გაუწოდონ ხელი ირლანდიის პარტიას.

ამრიგად, ირლანდიის პარტიის მდგომარეობა ინგლისის პერლამენტში შესამჩნევად შეიცვალა. იგი არა სდგას განზე ისე, როგორც იდგა პარნელის დროს. პირიქით, ისეთ მახლობელ მონაწილეობას იღებს ინგლისის საგარეო საახალშენო და ინდოეთის პოლიტიკაში, რომ ნამდვილი ინგლისელი ლიბერალები იძულებულნი არიან ირლანდიის პარტიას ამ საქმეებშიაც დაეკითხონ და მათი რჩევა მხედველობაში მიიღონ. ირლანდიელებს ინგლისელებზე უკეთ ესმით იმ ხალხთა გრძნობა, მიმართულება, მისწრაფება და საქმე, რომელნიც ირლანდიელებსავით ინგლისისგან დამოკიდებულნი არიან. მართალია, ირლანდიის პარტია იმპერიის საზოგადო საქმეებში დიდსა და პირდაპირ მონაწილეობას იღებს, მაგრამ არც ძველ ბელადის—პარნელის ტრადიციები და პრინციპები აქვს დავიწყებული და მის დროშაზე ჰომრული დღესაც ცეცხლის ასოებით აწერია.

ირლანდიის პარტიას პარნელის შემდეგ ორი ბელადი ჰყავდა: პარნელის მოწინააღმდეგე პარტიის მეთაური ჯონ დილლონი და პარნელის მომხრეების წინამძღოლი ჯონ რედმონდი. ამათში საკუთრად ინგლისი ჯონ დილლონს უფრო მეტ პატივსა სცემს, ვიდრე ჯონ რედმონდს, რომელსაც იმაში ამტყუნებენ, რომ იგი დილლონის პარტიის მისწრაფებას პარლამენტში წინ უდგებოდა, იმათთან დაკავშირებას არ ნდომობდა და ამით ირლანდიის საერთო საქმეს ხელს უშლიდა. ამისთანა კომპრომისები რედმონდის ხასიათს არ შეეფერებოდა. იგი საოცარის ენერგიისა და გატაცებით იცავდა ირლანდიის წინანდელ ბელადს და საქვეყნოდ არცხვენდა ირლანდიელებს, რომელთაც თავის ბელადს უღალატეს და ზურგი უჩვენეს; ამის შემდეგ, როცა მოწინააღმდეგენი ხელმეორედ შეერთდნენ და თავის ბელადად ჯონ რედმონდი დაასახელეს,

ფელეტონი

ზოგიერთი ცნობანი სამხედრო მეცნიერებიდან

ტყის მნიშვნელობა.

კაი მოგონებაა თოფი და სასარგებლოა ნადირის დასახოცად, მაგრამ ცუდ რამედ ხდება, როცა ადამიანები იხოცებიან მისგან; კარგი და სასარგებლოა ცხოვრებაში დანა, მაგრამ მავნებელ საგნად ხდება, როცა ადამიანის მოსაკლავად იხმარება; კარგია ასანთი ოჯახში, მაგრამ იმისგან გადამწვარნი სწყევლიან მისს მომგონს და მერე გამყიდველს. თავის დროზე და თავის ადგილას ბუნებაში ყველაფერი მშვენიერებაა, მაგრამ ბოროტად ხმარებული ყველაფერი სისაძაგლეა.

ომიც სისაძაგლეა. სისაძაგლეა ომი მხოლოდ ომისთვის; სისაძაგლეა იგი, როცა მიზნად აქვს ვისიმე დიდებისა და სახელის მოპოვება, ძარცვა-გლეჯა, ერის დამონავება, შურის ძიება და სხვა.

მაგრამ ვის რა ეთქმის მისთანა ომის წინააღმდეგ, რომელიც მტრის თავსდასხმით არის გამოწვეული. სისაძაგლედ არ ჩაითვლება, ყელში წაჭერილმა ხალხმა რომ ხელები გაიქნიოს და ძალით შეეცადოს განთავისუფლებას. სისაძაგლეს კი არა, სრულიად ბუნებრივსა და სამართლიან საქმეს მოიქმედებს თითოეული ერი, როცა იგი თავის მიწა-წყალზე მშვიდად მცხოვრები, შემოსეულს მტერს მტრულად დაუხვდება, იარაღით შეებრძოლება და გააძევებს. ასეთი ბრძოლა, ომი, არა თუ დასაგმობია,—მოსაწონიც არის, რადგან მას სამართლიანობა უდევს საფუძვლად, ხალხის სამართლიან უფლების დაცვა აქვს მიზნად.

რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ ქვეყანაზე უსამართლობა არ ხდებოდეს და ამგვარ სამართლიან ომის გაწევაც არ იყოს ხოლმე საჭირო. მაგრამ ეს იდეალი ჯერ შორსაა, დღეს ყველა, ეგრედ წოდებული, „კულტუროსანი“ სახელმწიფოები თავით-ფეხამდის შეიარაღებულნი არიან და ერთმანეთს არ ინდობენ დასამარცხებლად და დასამონავებლად. ერთი ხალხი მეორე ხალხისთვის მგლად არის მიჩნეული; თუ მეზობელს ცოტა ფეხი გადაუბრუნდა, აქეთ-იქიდან ყვავ-ყორანივით თავს ეხვევიან და მისს განადგურებას ცდილობენ. ვისა აქვს დღეს ფასი ქვეყანაზე, რომელ ხალხის ხმასა აქვს რიხი და გავლენა, თუ არ ძლიერის ჯარით, თოფითა და იარაღით! ფიზიკური ძალაა დღეს გამეფებული...

კაცობრიობა ბრძოლაში ატარებს დიდ დროს და ამ ბრძოლაში ხმარობს ხელოვნებით შექმნილ იარაღს და აგრეთვე იმასაც, რასაც ბუნება ჰქმნის. ბრძოლაში ყველაფერი კარგია, რაც გამარჯვებას ხელს უწყობს, და ამიტომ ბრძოლის მოედანზე გამოუყენებელი არარჩება-რა. სამხედრო ხელოვნება ომისთვის იყენებს მშვენიერ ტყეებსაც.

სამხედრო საქმისთვის „ტყე“ ჰქვიან კარგა დიდ ადგილს, მოფენილს იმდენად მოზრდილ ხეებით, რომ ცხენოსანი ან ქვეითი ჯარი მთლად დაიმალოს მოძრაობის დროს. ამაზე დაბალ ტყეს ეწოდება—„ჯაგნარი“.

ტყეები სხვადასხვანაირია: არის აყრილი ტყე, რომელიც, შედარებით, სუფთაა წვრილიანისაგან, არის მთლად გასუფთავებული ტყეები და არის ბუჩქნარით სავსე ტყეები. აყრილ ტყეში მცენარეები ნაკლებად იზრდება, რადგანაც ხეები, თუმცა შორი-შორს დგას, მაგრამ მთლად ჩრდილავს დედამიწას. ამისთანა ტყეებში შეუძლიანთ გავლა, ქვეითა ჯარს გარდა, ცხენოსანსა და ზოგან არტილერიასაც კი. გასუფთავებულ ტყეში ყოველგვარი ჯარი შესძლებს თავისუფლად გავლას. ბუჩქნარიან—წვრილიან ტყეებში კი ბევრგან არა თუ ცხენოსან ჯარსა და არტილერიას, ქვეითა ჯარსაც გაუჭირდება გავლა.

ტყეები მთებზე უფრო მცენარიანია, ვიდრე ბარად; ამ მცენარეობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ დილის ნამზე და წვიმის შემდეგ ნიადაგი და ხის ფოთლები რბილდება და სიარულს სრულებით უხმოს და უკვალოს ხდის. ბარად ცარიელ ფოთლებზე სიარული ძალიან შრიალიანია და მასთან ფოთლებზე ყოველთვის ემჩნევა კვალი. თუმცა მთის ტყეებს აღნიშნული ღირსება აქვს, მაგრამ იქ გადაბმულ-გადმობმული ბალახეულობა ძალიან აფერხებს კაცს, ხშირად წაიქცევა კიდეც მოსიარულე და ამიტომ ჩქარი სიარული უძნელდება. ყოველნაირ ტყეებში სიარულის დროს დიდი შემაფეხებელია აგრეთვე ქარისაგან ნალეწი და წაქცეული ხეები, რომელიც მარტო შეშად გამოადგება ჯარს საჭმელის მოხარშვისა და პურის გამოცხობის დროს.

ტყე ზაფხულობით გრილია, ტყეში იშვიათია სრული სიჩუმე. სულ პატარა ნიავი დიდ შრიალს იწვევს, ნიავი კი ტყეში თითქმის მუდმივია. დასვენება ტყეში მეტად სასიამოვნოა და სიარული—ნაკლებ დამასუსტებელი. ღამ-ღამობითა და ზამთრობით ტყეში უფრო თბილა, ვიდრე მინდვრად; ქარში ტყე ჯარს უყუდროებს. თავის დროზე ტყის ყველა ღირსებანი უნდა გამოიყენოს ჯარმა.

გზები ტყეში უსწორ-მასწოროა, მასთან სველი და ტალახიანი; საფლობები ტყის გზებზე ხშირია. ტყის გზები ბევრგან ისე არის ხოლმე ხეებით მოფენილი, რომ გზის აქცევა და ტყეში დაბნევა მეტად ადვილი ხდება. ზამთრობით ამას ემატება კიდევ თოვლი, რომელიც დაჰფარავს ხოლმე გზებს და ჰმალავს ორმოებსა და საფლობებს, ამიტომ ტყის გზით უნდა ისარგებლოს ჯარმა იშვიათად და მხოლოდ სხვა უკეთეს გზის უქონლობისა გამო, თორემ, შესაძლოა, ჯარმა ტყეს ვერ გაატანოს და რაიმე უბედურება შეემთხვეს.

ტყეში მალე ღამდება და გვიან თენდება.

ტყე თავის მრავალ ხეებით მეტად აძლიერებს გამოხმობას ანუ ხმის გამოცემას. ამიტომ უბრალო ხუმრობა ორიოდ კაცისა ტყეში ღრიალად და მრავალ კაცთა ლაპარაკად ისმის. გამოხმობით გაგებული ხმები ვერ აღნიშნავს სიახლოვეს ანსიშორეს მოლაპარაკე კაცისას და მათ რიცხვს. ტყეში გამოხმობა ყოველ მხრიდან მოისმის და ძნელად მიხვდება კაცი, საიდან მოდის ხმა. მეორე მხრივ ტყე, რომელიც წარმოადგენს მექანიკურ ღობეს, ხმისთვის გაუტანებელს, შთანთქამს, შორიდან მომავალ ხმას. არის მაგალითები, რომ მოწინააღმდეგე ჯარები რამდენისამე დღით მდგარან ტყის სხვადასხვა ნაპირებთან და ერთმანეთისა ვერა გაუგიათ-რა ხმაურობით.

მნიშვნელობა ყველა ადგილობრივ საგნისა სამხედრო საქმისთვის იმაზეა დამოკიდებული, თუ რანაირი გავლენა აქვს ამ საგანს ჯარის დასვენებასა, მოძრაობასა და ბრძოლაზე. მნიშვნელობა ადგილობრივ საგნებისა მთლად დამოკიდებულია სასროლ მანქანაზე. ახალი თოფი ახალ ტაქტიკას ჰქმნის. ტაქტიკა საგნებს უცვლის სამხედრო მიზანს და მნიშვნელობას. ახალ სისტემის თოფის წყალობით, რომელსაც ტყვია შორს მიაქვს, მიზანში კარგად არტყამს და დიდის ზიანის მიცემა შეუძლიან. ტაქტიკა იძულებულ შეიქმნა ისარგებლოს ყოველ ადგილობრივ საგნებით, რაც გინდა უმნიშვნელო იყოს ეს საგნები პირველის შეხედვით. ვინ, როდის და რანაირად მოიხმარს ამ საგნებს, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გათვალისწინებული აქვს მეომარს მნიშვნელობა საგნებისა, რამდენად მახვილი ჭკუა-გონება აქვს და რამდენად გარემოების მალე წარმოდგენა და აწონ-დაწონა შეუძლიან. ტყეს ამ საგანთა შორის ერთი უმთავრესი ადგილთაგანი უჭირავს დღეს. უწინდელ დროში, როცა მჭრელის იარაღით იბრძოდნენ, ტყე გამოუსადეგარი იყო. რადგანაც მჭრელი იარაღი—იარაღია აქტიურის მოქმედებისა, ამიტომ მეომარს წინსვლა და თავდასხმა სჭიროდა; ამისთანა მოქმედებისთვის კი სხვა საგნებზე უფრო ტყე უშლიდა ხელს. ადგილობრივი საგანი მოწინააღმდეგის მოსაგერებლად არის კარგი. მაგრამ მოძრავ მეომარს მოძრავი საფარი სჭირია და ჰქონდათ კიდეც იმ დროში. ფარი, ჩაჩქანი, სამკლაური, ხიღაბები, აბჯარი და სხვა. შემდეგაც, როცა შურდულები, შილდისრები და სასროლი მანქანები მოიგონეს, მაშინაც ტყე მეომართათვის ხელის შემშლელი იყო. იმ სასროლ იარაღს სუსტი ჰქონდა ბალისტიკური ღირსება, ე. ი. გამტყორცნი ძალა, და ამიტომ არავინ საჭიროებდა დამალულიყო და რაიმე საგანს ამოჰფარებოდა. იმ დროს ჯარს ჰქონდა განწყობა შეჯგუფული და მოედანი საბრძოლველად—ფართო და მოტიტვლებული.

მხოლოდ სახალხო ომის ხასიათმა მისცა ტყეს უპირატესობა ყველა ადგილობრივ საგნების წინაშე. ასეთი სახალხო მეომარნი იყვნენ ბარბაროსები: გალლები და გერმანელები რომაელებთან უკანასკნელ ცეზარის ეპოქაში ბრძოლის დროს. მათი სამშობლო მეტად ტყიანი იყო. ტყიან ქვეყნებში თითქმის მოუხერხებელია შეჯგუფულ განწყობით მომქმედ დიდ ლაშქრების შედგენა. აქ უნდა ცალკე გაწვრთნილი მეომარი, სამშობლოს სიყვარულით აღჭურვილი, ელემენტარულ სამხედრო სწავლის მცოდნე და სროლაში კარგა გავარჯიშებული. ასეთი მეომარი იდეალური დამცველია თავის ქვეყნისა და ტყიანი სამშობლო მისთვის იდეალურ სამოქმედო ასპარეზად იქცევა. ამგვარ მეომართაგან შემდგარი ჯგუფები მტრისთვის საშიშარს ძალას წარმოადგენენ, რადგანაც მოსვენებას არ მისცემენ არც დღე და არც ღამე, ციბრუტივით უვლიან მტერს გარს, მიუდგებიან ხშირად იმ მხრიდან, საიდანაც უფრო ძნელად მოსალოდნელია, შეიტყუებენ მტერს ტყეში, მთებში, დამალულად, თავდასხმით, ახლო მანძილიდან თოფის დაშენით და თავის დროზე გაქცევა-დამალვით გზა-კვალს აურევენ ლაშქარს.

ასეთი იყო ბარბაროსების მოქმედება. ისინი, ვითარცა მონადირენი, კარგი მსროლელნი იყვნენ, უყვარდათ თავიანთი ტყიანი სამშობლო და არავისთვის ემეტებოდათ იგი; სამშობლოს სიყვარული აერთებდა ბარბაროსების მოქმედებას და ყველას გმირებად ხდიდა. რამდენადაც სასარგებლო და გამოსაყენებელი იყო ხალხურ მეომართათვის ნაცნობი ტყე-ღრე, იმდენად მავნებელი და დამღუპველი იყო რომაელ ლეგიონებისათვის. გალლებისა და გერმანელების ტყეები ათანასწორებდა ხალხურ მეომართა ძალას ლეგიონებთან, ტყეები აქარწყლებდა რომაელ ჯარების ტაქტიკურ უპირატესობას, მათს საერთო მოქმედებას, ხელოვნურ და მოწყობილ ჯგუფებად მოძრაობას. ძალა მუდმივის ჯარისა ამაშია და, მაშასადამე, ხალხურ ომის მოთავეებმა იქ უნდა მიაღებინონ მტრის გაწვრთნილ-დარაზმულ ჯარებს ბრძოლა, სადაც თვალწინ არ ექნებათ მშვიდობიანობის დროს ნახული გარემოება. აღზრდა კი ამ ჯარებისა ისეთია, რომ გარემოებისა დაგვარად სასურველი მოქმედება არც უფროსებსა და არც ჯარის კაცთ არ შეუძლიანთ.

თუმცა იმ ომებმა ნათლად დაამტკიცა მტრის მოსაგერებლად ტყის მნიშვნელობა, მაგრამ მაშინდელი გაწვრთნილნი მეომარნი მაინც გაურბოდნენ ტყიან ადგილებს საბრძოლველად და ტყეს იყენებდნენ საფარად და შემთხვევით თავდასხმისთვის ჯარის დასამალავად ტყეს ხმარობდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი პატარა იყო და მდებარეობდა საბრძოლველ ადგილის ახლო. იმპერატორი ლევი—ფილოსოფოსი ამბობს: „ისარგებლეთ ტყეებით და სხვა საფარებით, რათა დამალოთ იქ ჯარის ნაწილი მოულოდნელ შეტევისთვის რომელისამე მხრიდან“.

ჯარის გადასვლ-გადმოსვლას ტყე მეტად ხელს უშლის; ტყე-ტყე სიარული დარაზმულ ჯარით შეუძლებელია, გზებზე კი საფლობები არ აძლევს თავისუფლად სიარულის ნებას. გარდა ამისა სურსათისა, ტყვია-წამლისა და სხვა ბარგის ტარებაც ძალიან ძნელია ტყეში.

მაგრამ ეს ნაკლი ტყისა არ არსებობს ხალხურ ომში მომქმედ პატარა რაზმებისათვის. ამ პატარა რაზმებს არა აქვთ დიდი ბარგი; თითქმის ყველაფერს, რაც საჭიროა, ზურგით ატარებენ: არც უგზოობის, არც საფლობების იმათ არ ეშინიანთ. ასე ვერ გაივლის,—ისე წავა, წინ არაფერი მიუძღვის და უკან არა რჩება რა; სიმკვირცხლე, სიმარდე, შეუფერხებლობა გადასვლა-გადმოსვლაში დიდი უპირატესობაა ხალხურ ომში მომქმედ პატარა რაზმებისა.

ამგვარად, ძველ დროში არა ჰქონდა მნიშვნელობა მოწინავე გასამაგრებელ პუნქტსა. ტყეს არ ხმარობდნენ ჯარის დასამალავად, არ იყენებდნენ ფარულ გადასვლა-გადმოსვლისათვის, არ

ბევრს მათგან, რასაკვირველია, ეჭვი დაებადა,—გამოსადეგიაო თუ არა რედმონდი ჩვენის პარტიის მეთაურად და შესძლებს თუ არა შესაფერ მეთაურობას. იმ დროინდელი ანტიპარნელისტი მაკ-კარტი გულ-ახდილად ამბობს,—ბევრი ჩვენგანი ყოყმანობდა, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რედმონდი ირლანდიის საქმეებს ვერ გაუძღვება და ჩვენც შესაფერ ხელმძღვანელობას ვერ გაგვიწევსო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მაკ-კარტი და მისი ურწმუნო მეგობრები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ჯონ რედმონდი მშვენიერი ბელადიაო და წინანდელი გამწვავებული ბრძოლა ორ პარტიას შუა ყველას დაივიწყდაო. ირლანდიის პარტია, რედმონდის ხელმძღვანელობით, წინანდებურად მძლავრი ფაქტორი გახდა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში: ოპოზიციონური პარტიები თავის დროშის ქვეშ შეიერთა და იმპერიალისტ-მილიტარისტებს კრიჭაში ჩაუდგა. თვითონ რედმონდი, იმის მოწინააღმდეგე გაზეთების სიტყვითაც კი, ერთი საუკეთესო ორატორთაგანია ინგლისის პარლამენტში.

ჯონ რედმონდი ქონებრივად უზრუნველყოფილია და ამიტომ მთელ თავის დროს ირლანდიის ეროვნულ საქმეებს ანდომებს. ჯონ რედმონდმა განათლება მიიღო დუბლინის Trinity college-ში და, თუმცა ვექილი გამოვიდა, მაგრამ ამ ხელობისთვის ხელი არას დროს არ მოუკიდნია. დეპუტატად ირიცხება 1881 წლიდან. ჯონი იმ თავითვე ჩაეწერა პარნელის მიერ შედგენილ ირლანდიის ეროვნულ პარტიაში. პირველ ხანებშივე დაკისრებული ჰქონდა სულ უმნიშვნელო, თითქმის მოსამსახურის თანამდებობა: თვალყურს ადევნებდა პარტიის წყს-რიგს; დიდ მნიშვნელოვან საკითხის კენჭის ყრის დროს ყურს უგდებდა, რომ პარტიის ყველა წევრი თავის ადგილზე ყოფილიყო და მეორე პარტიასთან მოლაპარაკების დროს შუამავლად ითვლებოდა. რედმონდი მოვალეობას დიდის ტაქტითა და მოხერხებით ასრულებდა და ამ მხრით პარნელს დაუფასებელ დახმარებას უწევდა. რედმონდს უძნელდებოდა საქმე უფრო პარლამენტის ობსტრუქციის დროს. ირლანდიის დეპუტატებმა პარნელის გარშემო მოიყარეს თავი და ხშირად აცხადებდნენ ობსტრუქციას. ამ შემთხვევებში პარნელის მცირე რაზმი იძულებული იყო ყოველ წუთს შეიარაღებული დახვედროდა ინგლისის მრავალ-რიცხოვან პარტიებს, რომელთაც ირლანდიის ნაციონალისტებზე განუწყვეტლივ იერიში მიჰქონდათ. ირლანდიის პარტიის წევრებს ხშირად უნდებოდათ თითო კრებაზე თორმეტიდან თხუთმეტამდე სიტყვის წარმოთქმა და ამისთანა დროს ჯონ რედმონდის მოვალეობა იყო ეზრუნა, რომ იმის ამხანაგებს ენერგია არ დაჰკლებოდათ... ამ თანამდებობის ასრულების დროს რედმონდმა პარტიას დაუფასებელი სამსახური გაუწია, მაგრამ რადგან იგი ჩუმი და მშვიდი კაცი იყო და წინ წაწევას არ ცდილობდა, ამიტომ არც პარნელი აქცევდა მას დიდ ყურადღებას და მხოლოდ ისე უყურებდა, როგორც თავის პარტიის გამოსადეგ და სასარგებლო წევრს. ჯონ რედმონდი მაშინ ძალიან იშვიათად ლაპარაკობდა კრებებზე, რას გამოც პარნელის გადადგომამდე ვერ გამოიჩინა თავისი მჭევრმეტყველება და ორატორული ნიჭი. მხოლოდ შემდეგში, როცა ირლანდიის პარტია შუაზე გაიყო, რედმონდმა ბრწყინვალედ დაამტკიცა თავისი ორატორული მჭევრმეტყველება და ინგლისის საპარლამენტო ორატორთა შორის შესამჩნევი ადგილი დაიჭირა.

ჯონ რედმონდი პირდაპირ აცხადებს, რომ მას ინგლისის არც ერთ პოლიტიკურ პარტიის იმედი არა აქვს და არა სჯერა ის არაკი, ვითომ ინგლისელები გულმტკივნეულად ექცეოდნენ ირლანდიელებს. რედმონდი ამბობს: მცხოვრებთა არც ერთი კლასი და არც ერთი პარტია მარტო ლაპარაკითა და სიმართლით სულ უბრალო და უმნიშვნელო რეფორმასაც ვერ მოიპოვებსო. ამის გამო, რედმონდის აზრით, ირლანდიელების პოლიტიკა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ინგლისის მთავრობას ირლანდიაში საქმე გაუჭიროს და ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს, რომ მისი იქ ყოფნა სახიფათო შეიქნეს. თუ ირლანდიის ხალხს თავისუფლებისა და სიმართლის მოპოვება უნდა,—ამბობს რედმონდი,—მან ინგლისის მთავრობას განუწყვეტლივ უსიამოვნება უნდა მიაყენოს, საფრთხეში ჩააგდოს, ყოველთვის კრიჭაში ედგას, და მაშინ მისი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნებაო.

ასეთი შეხედულება რედმონდისა მართლდება მრავალ ფაქტით ირლანდიის ისტორიიდან. ყოველთვის, როცა კი ირლანდიელები აღელვებას იწყებდნენ და ინგლისის მთავრობას უსიამოვნებას აყენებდნენ, ინგლისელები ლბებოდნენ და ირლანდიის მოთხოვნილებას უსრულებდნენ. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ ასეთ მედგარ პოლიტიკის მიმდევარი ჯონ რედმონდი საზოგადოდ ინგლისელებს და კერძოდ—კონსერვატორებს არ უყვართ. რედმონდს პარლამენტში დიდ პატივსა სცემენ, მაგრამ მაინც სახიფათო და მავნე კაცად მიაჩნიათ, რადგან იგი კომპრომისებს ჩვეული არ არის. იმას არც ლიბერალებთან უნდა დაკავშირება. იმპერიალისტურმა იდეებმა და სამხრეთ-აფრიკის ომმა დიდი უთანხმოება გამოიწვია ლიბერალთა პარტიაში,—დაასუსტა, დააქუცმაცა და დაუკარგა მას ის გავლენა, რომელიც გლადსტონის დროს ჰქონდა. რად უნდა შეიკრან ირლანდიელებმა ხელფეხი ლიბერალებთან კავშირით?—ამბობს რედმონდი.—ჩვენ უნდა ვერიდოთ ინგლისელებთან კავშირს და არჩევნების დროს მხოლოდ ირლანდიის ინტერესებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ.

როცა რედმონდი ირლანდიის შეერთებულ პარტიის ბელადად ამოირჩიეს, მან განაცხადა: „მე არა მჯერა, რომ ინგლისის ლიბერალებმა ირლანდიას ჰომრული მისცენ და, უნდა გამოვტყდე, არც ის მჯერა, რომ ამ ახლო ხანში ინგლისს ამისთანა მთავრობა ჩაუდგეს სათავეში. პირიქით, მე მჯერა, რომ, სანამ ინგლისს ამისთანა მთავრობა მიენიჭებოდეს, მანამდის ირლანდია საკუთარის ძალ-ღონით მოიპოვებს ჰომრულს. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ჰომრულს სწორედ ისეთისავე შეთანხმებით მოვიპოვებთ, როგორც ინგლისის ხალხმა ადგილობრივი თვითმართველობა მოიპოვა. განა მაშინ, ორის წლის წინად, იტყოდა ვინმე, რომ ინგლისში ამისთანა რეფორმა მოხდებოდა? მაშინ ეს რეფორმა ისევე შეუძლებლად მიაჩნდათ, როგორც ეხლა ჰომრული ჰგონიათ".

ჯონ რედმონდი, როგორც ყოველი ირლანდიელი, სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ინგლისს, იმპერიალისტებს, რომელთაც ბურების ჩაყლაპვა უნდოდათ. ქვედა პალატაში რედმონდი საკვირველის გაბედაობითა და სიმხნევით იცავდა ბურებს და სასტიკ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა ინგლისის მთავრობის არგუმენტებსა და მოქმედებას. „ეროვნული დამოუკიდებლობა იმდენად ძვირფასია ყოველის ირლანდიელისათვის,—ამბობდა რედმონდი,—რომ ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია ამ შემთხვევაში გულ-გრილობა და განზე გადგომა. ინგლისის მთავრობის-მიერ თავისუფალ ბურების ამოჟლეტა ირლანდიელებს ისე სძულთ, რომ ჩვენი წაყვანა ბრძოლის ველზე ინგლისის მთავრობას მეტად გაუჭირდება. ბურების სახლკარის გადაბუგვას არც ერთი ირლანდიელი ხელს არ შეუწყობს".

ომი გათავდა. პარლამენტში დაიწყო სასტიკი კრიტიკა ინგლისის მთავრობისა, რომელმაც არა ერთი და ორი ყალბი და უკუღმართი საქმე ჩაიდინა. ყველაზე უფრო საქმე გაუჭირა მას რედმონდმა, რომელიც ხშირად და გულ-ახდილად ლაპარაკობდა ომის ნამდვილ მიზეზისა და ინგლისის მთავრობის სიყალბის შესახებ.

ჯონ რედმონდი ზედმიწევნით იცნობს ინგლისსა და იმის ახალშენებს. ყოველგან—ავსტრალიაში, კანადაში, ინდოეთში და სხვაგანაც—ყოფილა და ადგილობრივ შეუსწავლია ინგლისის ახალშენების საქმეები.

ასეთია შეხედულება და რწმენა ირლანდიის პარტიის ახალ ბელადისა.

№

რუსეთი

ლიფლიანდიის საპყრობილედან გაქცეულა 38 **პოლიტიკური დამნაშავე**, რომელთაც საპყრობილეს ზედამხედველი დაუჭრიათ, მშვენივრად შეიარაღებულან და პოლიციელებს სდევნიან. მთავრობა გაცხარებით ეძებს ამათ გზა-კვალს (ჩ. პ.).

✦ დღემდის კოლპინის სახაზინო იარაღის ქარხანას მატროსები იცავდნენ. ეხლა კი ქარხნის დაცვა მთავრობამ კაზაკებს მიანდო, რადგან **მატროსები არა საიმედო ხალხიაო** (სლ.).

✦ სინოდის ობერპროკურორის ანგარიშით, წელს **რუსეთში იყო სულ 783 მონასტერი** და 57,982 ბერი და მონაზონი (რ. ს.).

✦ ამას წინად სამხედრო რევიზიამ დაათვალიერა ლიბავის არსენალები და აღმოაჩინა, რომ არსენალიდან დაკარგულა 50,000 პატრონა და რამდენიმე ათასი თოფი. გარდა ამისა, ივნისის გასულს მომხდარ არეულობის დროს მატროსებმა და მუშებმა ამავე **არსენალიდან გაიტაცეს რამდენიმე ათასი თოფი** და აუარებელი პატრონა (სამ. კურ.).

✦ ივნისის დამლევს ეკატერინოსლავში **საერთო გაფიცვა მოხდა**. ბრიანსკის ქარხნის მუშები—5000 კაცი ძალით შევიდნენ რკინის გზის სახელოსნოებში და მუშაობა შესწყვიტეს. შუადღისას მთელ ქალაქში შესწყდა მოძრაობა და მუშაობა. რკინის გზის მახლობლად **შეიკრიბა 15—20,000 მუშა**. სალამომდის განუწყვეტლივ პროკლამაციებს არიგებდნენ, სიტყვებს ამბობდნენ და მარსელიეზას მღეროდნენ (პ. კ.).

✦ 21 ივნისს ვილნოში დიდი დემონსტრაცია მოხდა. პოლიციამ და მუშებმა **იარაღი იხმარეს**. დემონსტრაციის დროს პოლიციის აგენტებმა დაიწყეს ყვირილი, „ჰკა ურიებსაო" და ებრაელებს მიესიენენ, მაგრამ ხალხმა დროზე გაუგო ხრიკი, ეცა ხულიგანებს და სულ დაფლითა (რ.).

✦ ჟიტომირისა, კიევისა, ეკატერინოსლავისა და ხარკოვის საპყრობილეები ისე გავსილა პატიმრებით, რომ ახალ პატიმრებს ვაგონებით გზავნიან სამაზრო ქალაქების საპყრობილეებში (ქ. ვ.).

✦ ამას წინად კრემენჩუგში გაირჩა საქმე კაზაკოვისა და ბუტენკოსი, რომელთაც აფიცრის მოკვლა ბრალდებოდათ. კაზაკოვს **ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს**, ბუტენკოს—უვადო კატორღა (პ.).

✦ ვარშავის სამხედრო სასამართლომ **ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა** დავით კრაუზეს, რომელმაც ლოძში პოლიციელი დასჭრა. (პრ.).

✦ რიგაში გემით მოუტანიათ **რამდენიმე ტომარა პროკლამაცია**, რომელიც ჟენევაში ყოფილა დაბეჭდილი. პოლიციას პროკლამაციები დაუჭერია, ხოლო მისი მომტანი პოლიციაში გაუგზავნია. გზაში პოლიციელებს თავს დასცემიან ვიღაც უცნობნი, ერთი პოლიციელი მოუკლავთ და ამხანაგი გაუნთავისუფლებიათ (რ.).

გურია

(შთაბეჭდილებანი)

თავის შეგნებითა და კულტურულის მოქმედებით გურიამ რომ მთელს საქართველოს და აგრეთვე რუსეთის ბევრ კუთხეებს წინ გაუსწრო, ამას დღეს დამტკიცება აღარ უნდა.

რა თქმა უნდა, გურიაშიაც ჰქონდა აქა-იქ ადგილი დაწვა-გადაბუგვას, მაგრამ ეს ხომ ერთი და ორი მაგალითი იყო და არა საერთო მოვლენა.

დღეს ხალხმა, ცოტად თუ ბევრად, უკვე იგემა ამ კულტურულ ტაქტიკის ნაყოფი. მოხდა მემამულეებთან მორიგება და ღალა ერთი-ორად შემცირდა. თვით ამ შემცირებულ ღალის მოკრებაც ისეა განაწილებული, რომ შეუძლებელია ვინმე უკმაყოფილო დარჩეს.

ღალა არ იკრიბება მარტსა და აპრილში, როდესაც ყოვლად შეუძლებელია ადგილის ხარისხის გამოცნობა, არამედ ღალა იკრიბება მაშინ, როცა სიმინდი უკვე თავს შეისხამს და თავის სავა-კარგობის უტყუარ ნიშნებს იძლევა.

ასეთისავე შეღავათიანის პირობებით იძლევიან მემამულეები ტყის მასალასაც. თუ ამდენ ხანს უბრალო თხმელის შეშის ბიჯი საჟენზე მანათ-ნახევარი იყო, დღეს მხოლოდ ათი შაურია. თუ ტყის რომელიმე მასალა სამ მანათი ღირდა, დღეს მხოლოდ შვიდ აბაზად ღირს. როგორც ხედავთ, მკითხველო, ფასებმა ერთი-ორად და ერთი-სამად იკლო.

მარტო აქ არ თავდება მათი კულტურულ მოქმედების ნაყოფი: ყოველივე მათი ნაბიჯი აწონილ-დაწონილი და გაზომილია; ყოველგან ეტყობათ სრული შეგნება და საქმის პრაქტიკულად ცოდნა.

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის მოვლენა, რომ გურულებმა, დიდი ხანია, ადმინისტრაციასთან და სასამართლოსთან კავშირი შესწყვიტეს. ვერავის ნახავთ „სუდის" კარებთან. აღარავინ დაეძებს უსწავლელ-ნასწავლ „მოსე მწერლებს", აღარავის სჭირია „აბლაკატები". ხალხი თვითონ განაგებს თავის ბედიღბალს.

დააშავებს ვინმე რასმე, იმ წამსვე შეიკრიბება მთელი სოფელი. საქმის ვითარებას არკვევს და შემდეგ, იმის მიხედვით, თუ როგორი დანაშაულობაა გასარჩევი, ან თვითონ კრება სწყვეტს საქმეს, ან არა და არჩევს სამედიატორო სასამართლოს. მედიატორების არჩევა ორთავე დაინტერესებულ მხარის თანხმობით უნდა მოხდეს. სასამართლო აგროვებს მასალას, იწვევს მოწმეებს და ერთ კვირაში საქმე გარკვეულია. სამედიატორო სასამართლოს განაჩენს მხოლოდ კრება შესცვლის, ისიც მარტო იმ შემთხვევაში, თუ ერთი დაინტერესებული მხარეთაგანი პროტესტს აცხადებს და რაიმე საფუძვლიან საბუთს იძლევა.

თუ დამნაშავე არც კრების გადაწყვეტილებას დასთანხმდა, კრება მას აძევებს საზოგადოებიდან, ან ბოიკოტს უცხადებს.

ერთ ასეთ კრებას დავესწარ. კვირა დღეა. ხალხი ხის ჩრდილში ფეხ-მოკეცილი ზის. სამარისებური სიჩუმეა. ყველა დაინტერესებულია.

აი, გამოჩნდა კიდეც მაღალი, ჭაღარა გურული. თავზე ლამაზად ყაბალახი გადაუკრავს. მოდის გაბედულად, ახოვნად. კრებაც მას უცდის, მისგან ელის საქმის გარემოების გაგებას.

აი, მოვიდა კიდეც ეს სიმპატიური გურული. ამხანაგურის მოწიწებით ყველას სალამი უძღვნა და კრებას შეუერთდა.

— აბა, გვითხარით, ამხანაგო, როგორ მოხდა ეს საზიზღარი საქმე?—შეეკითხა ახლად მოსულს ხალხი.

— რაღა, ძმებო, თავი მოგვეჭრა ყველას, აგერ გუშინ რამდენიმე მანდილოსანი ქალაქიდან მოდიოდა თურმე, დახვდენიან გზაზე ვიღაც პირ-შავები და ქალებისა ფული წაურთმევიათ! ფულის წართმევა ვიღან აკმარა თურმე, სცემეს კიდეც! მთელ ალაიაში თავი მოგვეჭრა, ამხანაგებო, გვიშველეთ!

— დამნაშავე ვერ ამოიჩინეს?—შეეკითხა ხალხი.

— როგორ არა, ვნახეთ, ყველაფერი გამოვკითხეთ, მაგრამ ჩვენ არაფერი გვითხრეს, მოვალთ და კრებას მოვახსენებთო! დღეს ორი აქ არის, თუ გნებავთ, მოვიყვანთ!—სთქვა ამ გურულმა.

— მოიყვანეთ, დავინახოთ ერთი იგი პირშავი, ჩვენი წამბილწავი!—იგრიალა ხალხმა.

ცოტა ხნით კრება შეწყდა. ყველამ ყურადღება ერთ ადგილს მიაქცია, საიდანაც დამნაშავენი უნდა მოსულიყვნენ.

— ნეტაი, ვინაა? იგია? აგია?—ეკითხებოდნენ ერთი მეორეს.

ამ დროს ხალხი გაიყო და გამოცხადდა ორი დამნაშავე. ორივენი დარცხვენილნი, თავდახრილნი, ფერმკრთალნი მიდიოდნენ, თითქო გილიოტინაზე მიჰყავთო.

თავმჯდომარემ ბრალდებულთ აუხსნა ბრალდება და შეეკითხა: რას იტყვით, დანაშაული ხართ თუ არა ამ საქმეშიო?

— დანაშაული ვარ, როგორ არა,—დაიწყო ნაბადწამოსხმულმა დამნაშავემ, მაგრამ მაპატიეთ, მთვრალი ვიყავი, არ ვიცოდი, რას ჩავდიოდი... უკაცრავად, პატიებას არ მოვითხოვ, დამსაჯეთ, როგორც მეკადრებოდეს, მარა ერთი შეეკითხეთ საზოგადოებას: მთვრალი რომ არ ვყოფილიყავ, ვიზამდი თუ არა მაგფერ შესარცხვენ საქმეს?

— უსათუოდ არ იზამდა, მარა მაგი არ პატიულობს! რა დროს ლოთობაა, მაგისა გვცალია?—ახმაურდა ხალხი.

შემდეგ შეეკითხნენ რამდენსამე მოწმეს და შეუდგნენ მსჯავრის დადებას.

— როგორც ხედავთ, დამნაშავე თვითონ აღიარებს დანაშაულობას, ახლა მხოლოდ ის უნდა გამოვარკვიოთ, თუ რაფერ დაისჯოს ის. ორნაირი სასჯელი გვაქვს: ან სულ გავაგდოთ ჩვენი საზოგადოებიდან, ან გამოვუცხადოთ ბოიკოტი. მარა ისეთი ბოიკოტი კი არა, რომ ეს ჩვენი გადაწყვეტილება სიტყვად დარჩეს, არა! ვერავინ მივა მასთან ვერც ჭირზე, ვერც

ომობდნენ ტყეებში, ტყის ნაპირებში, ერთის სიტყვით, არ იცოდნენ, როგორ გამოეყენებინათ ტყე მეომართათვის, ეშინოდათ და გაურბოდნენ ტყიანს ადგილს, ვითარცა ხელის ბრძოლაში შემშლელს.

რა მოხდა შემდეგში?

ამერიკის შტატების დამოუკიდებლობისთვის წარმომდგარმა ომმა და შემდეგ სარევოლუციო ომებმა ევროპაში სრულიად შესცვალა ტაქტიკა და ადგილობრივ საქმეების მნიშვნელობა ყველას ნათლად დაანახვა. ამ ომებში კარგის სისტემის თოფები იხმარებოდა. ამ თოფების შემოღებამ იძულებულ ჰყო შემოღება გაფანტულ განწყობისა და საზოგადოდ მხედართა ნაწილ-ნაწილ დაყოფისა, უწინდელ ფალანგებისა, ლეგიონებისა და კარეების მაგივრად. დამოუკიდებლობისათვის შტატების ომში,—ამბობს დეკერი,—მიაქციეს ყურადღება გაფანტულ განწყობას, რომელიც იქაურ ტყიან ადგილას ხერხდებოდა. ამერიკელი კარაბინერები—ეს ტყის მონადირენი—უმაშველ ჯაროდ შემოავლებდნენ ხოლმე წრეს ინგლისის ჯარის პოზიციებს და უშენდნენ წვიმასავით ტყვიას. ამერიკელებმა არ იცოდნენ ტაქტიკა და მისი კანონები—ისინი იყვნენ მხოლოდ კარგი მსროლელნი".

ამ ომების შემდეგ მნიშვნელობა საზოგადოდ ადგილობრივის საგნებისა და კერძოდ ტყეებისა თვალსაჩინო გახდა. და დღეს ამ საგნებით სარგებლობენ ჯარის მოქმედება-ცხოვრების ყოველ შემთხვევაში.

ტყე იფარავს ჯარს მტრისაგან.

ტყეში დაბანაკებული ჯარი, თუ იგი ჩუმად არის და ცეცხლს არ ანთებს, უჩინარია. ძალიან ახლო უნდა მივიდეს კაცი და ამასთანავე, უსათუოდ ტყეში უნდა შევიდეს, რომ ჯარი აღმოაჩინოს, შორიდან ყურება, ყურის გდება, დურბინდებით ცქერა—ვერაფერს გააგებინებს მსურველს. ტყეში ჩუმად მოძრაობა თუმცა შეუძლებელია, რადგანაც ფოთოლი და ხის ხმელი ტოტები, სიარულს ახმაურიანებს, მაგრამ წვიმის შემდეგ, დილის ნამზე და ფეხ აკრეფით სიარული ძალიან ახლო მიიყვანს მეომარს მტერთან, ვიდრე ეს უკანასკნელი დაინახავდეს, ან სიარულის შრიალს გაიგებდეს.

ბრძოლის დროს ტყე ხელს უშლის მტერს გაიგოს, რა რიცხვია მებრძოლთა, რა სწადიან მოწინააღმდეგეს, საიდან დაეცემა ან საით წავა. ამის გაგება თითქმის შეუძლებელია, რადგანაც ტყეში ბრძოლის დროს სჩანს პატარა ნაწილი მებრძოლთა და ისიც მაშინ, როცა იბრძვიან; მტრის გაგება მხოლოდ მზვერავთა მოხსენებით ან მოსატყუებლად ატეხილ თოფის სროლით თუ შეიძლება.

ხეები არა თუ ჰმალავს მეომართ, იფარავს კიდეც ტყვიისა და ყუმბარებისაგან, თუმცა ხისა და ტოტების ნამტვრევები, შეიძლება, მოჰხვდეს კაცს და ზიანი მიაყენოს.

ტყეში შეშვებული მუდმივი ჯარი ძნელად იკვლევს გზას: უფროსმა ტყის მიზეზით არ იცის, ვისთან და რამდენთან აქვს საქმე, და ამიტომ შეუძლებელი ხდება საზოგადო მართვა და ერთნაირი მოქმედება ყველა ნაწილებისა, ძნელდება მიშველება ერთმანეთთან და ჯარის ნაწილებში კავშირის დაცვა. ტყეში ბრძოლის დროს უფროსი ველარ ხედავს ჯარის ნაწილებს და ეს გარემოება რევს სხვადასხვა ნაწილებს ერთი ერთმანეთში და სპობს გაზეპირებულ წესსა და რიგს. ამ შემთხვევაში თავს იჩენს ინიციატივის კაცი და მოქმედება მთლად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მომზადებულია ჯარის კაცი განცალკევებულ ბრძოლისათვის.

მოძრაობის დროს არევ-დარევას ხელს უწყობს ისიც, რომ მეომარმა ხეს უნდა მოუაროს, რაც სწყვეტავს ფრონტს, და ამიტომ მოძრაობის დროს დაცვა წესისა შეუძლებელი ხდება. რაც შეეხება ტყის გზებს, აქაც სიარული ძნელდება ჯერ გზის სივიწროვით, მერე სისველისა და საფლობების გამო. ამიტომ ტყე გამოსადეგია მხოლოდ ქვეითა ჯარისთვის და ისიც მოსაგერებელ ბრძოლაში. ცხენოსანი ჯარი და არტილერია ან სულ გამოუსადეგარია ტყიან ადგილებში, ან მათი მოქმედება მეტად უმნიშვნელოა. მოსაგერებელი ბრძოლა ტყეში მეტად მედგარია ხოლმე, რადგანაც ყველა რიგი ხეებისა მომგერებელთათვის პოზიციებია, რომელიც თოფის ტყვიისაგან სრულიად უვნებელი რჩება. თავდამსხმელნი იძულებულნი არიან გამოჩნდნენ, რადგან წინ მიიწევიან; თუმცა დრო-გამოშვებით ისინიც ეფარებიან ხეებს, მაგრამ მიზანი მათი აიძულებს მათ, საფარებს მოშორდნენ. მომგერებელნი კი კარგა ხნით დგანან ხეს ამოფარებულნი და დინჯად ესვრიან მტერს. როცა მტერი უახლოვდება, მომგერებელნი ნაწილ-ნაწილ სირბილით წევენ უკან და ისევ ხეებს ეფარებიან და მტერს ტყვიას უშენენ.

გამოხმობა, ე. ი. ხმის გამოცემა, როგორც ვთქვით, ტყეში მეტად ძლიერია, და ამიტომ, ადვილად შეიძლება, შეცდომაში შევიდეს კაცი მტრის ძალის შესახებ. გამოხმობას ვერ გაუგებ, საიდან ისმის, და ამიტომ შეუძლებელია რაიმე გადაწყვეტილებას დაადგეს კაცი მტრის მდებარეობის შესახებ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, გამოხმობას დიდი ზნეობრივი გავლენა აქვს მეომარზე: ესმის ხმაურობა, არ იცის, ვისია და საიდან არის, თავისიანებსაც ნაკლებ ხედავს და შიში იტანს. ამას ზედ ერთვის გაათკეცებული გრიალი თოფ-ზარბაზნისა და ამიტომ ჯარისკაცნი, შეშინებულნი, ბრძოლის მაგივრად ხეს ეფარებიან ან წვებიან...

ტყეში ხშირად მოხდება მოულოდნელი შეფეთება მოწინააღმდეგეებისა. ამიტომ ჯარს კარგი მზვერავები უნდა ჰყავდეს, თორემ ასეთი შეფეთება ზოგჯერ დამღუპველია. მზვერავებს გარდა, ხალხურ ომში ამ შეფეთებისაგან იხსნის ადგილობრივ მეომართ ტყის კარგად ცოდნა.

პატარა ტყეს შეიძლება, ნაპირებში დაუყენონ ყარაულები და მზვერავები. მათ საზვერი სივრცე წინ დიდი ექნებათ, მაგრამ დიდს ტყეს ასე ვერ მოევლება. ტყეში მოთავსებულ ჯარის დასაფარავად საჭიროა ირგვლივ ხშირი და მოშორებით დაყენებული ყარაულები; ამათ წინ კიდევ სამ-სამი, ოთხ-ოთხი კაცი უნდა იყვნენ გაგზავნილნი, რომელნიც დადიან ყოველ მხრივ და იგებენ ყველაფერს, რაც ტყეში ხდება; ყველაფერს რასაც შეამჩნევენ, მალე ატყობინებენ ჯარის უფროსს, ან, თუ მტრის დიდ ჯარს შეხვდნენ, იწევენ უკან და თვალს არ აშორებენ მტერსა და მის მოქმედებას.

ტყე ზაფხულში კარგია ყოველ მხრივ, ზამთარში, როცა უფოთლოდ დგას, ტყის მნიშვნელობა ბევრად ნაკლებია. ფოთლიან ხის ტოტების წყალობით, ადვილია მტრის მოტყუება: კაცი გაიგუნგლება მიწაში, დაირჭობს ახლად მოტეხილ მოჭრილ ხის ტოტებს და ჩოქით ან ტრიალით უახლოვდება მტერს.

ტყე ხელს უწყობს მოსაგერებელ ბრძოლას. არტილერიის მოქმედება ტყეში მეტად უმნიშვნელოა, ცხენოსანს თითქმის არ შეუძლიან მოქმედება, ამიტომ, ვისაც ჰყავს ასეთი სამნაირი ჯარი, იგი მოვალეა მოსაგერებელ პოზიციებად იხმაროს პატარ-პატარა ტყეები, სადაც ჯარი ასე უნდა დადგეს საომრად: ქვეითი ჯარი დაიჭერს ტყის ნაპირებს, მაშველი ჯარი ტყეში დაიმალება, არტილერია და ცხენოსანი ტყის აქეთ-იქით დგება, რათა თავიანთი მოქმედება გააძლიერონ ჯარის მარჯვენა ან მარცხენა მხარეებისაკენ.

ტყის მნიშვნელობა მოსაგერებელ ბრძოლაში მატულობს, როდესაც პოზიციად დანიშნულია ტყის სწორე ნაპირი. თუ ტყეს შემართ ნაპირი აქვს და მოვლისა ან შემოვლის აქ დამდგარ ჯარს არ ეშინია, მაშინ შესაძლებელია და სასარგებლოც მტრისთვის გვერდებიდან სროლა. თუ ტყის ნაპირი გამორკალურ ნახევარ წრეს წარმოადგენს, მაშინ ძნელია მოგერება და უფრო ადვილია მხარეების მოვლა. ტყის ნაპირი უფრო გამოსადეგად ითვლება, როცა იგი სწყდება ველით და ამ ადგილას სდგას მსხვილი ხეები და ბუჩქნარიც არის. მსხვილი ხეები ტყვიისგან იხსნის, ბუჩქნარი მტრის თვალისგან იფარავს მეომართ. ტყის ნაპირი უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე წინ მდებარე არე-მარე: ტყეს არ უნდა ჰქონდეს მისაპარიანი მისავალი წინიდან და გვერდებიდან, არ უნდა იყოს წინ მთა, რომელიც მტრის არტილერიის პოზიციად გამოდგება. ტყის ნაპირის უკან კიდევ უნდა იყოს საომარი პოზიცია *). უმჯობესია ტყიანი ფერდობი თანაბრად ეშვებოდეს ძირს, რადგანაც, მაშინ ხეებს შუა საცქერი დიდი იქნება, თორემ ოღრო-ჩოღრო ფერდობში ფოთოლი მეტად დაუშლის ცქერას და, მაშასადამე, სროლასაც. მეორე და მესამე პოზიციები მომგერებელთ საშუალებას მისცემს შეაფერხონ ტყეში შემოსული მტერი, გაუძნელონ ტყეში გასვლა და საგრძნობლად დააზარალონ.

ჯარისთვის სჯობია, რომ ტყის ნიადაგი ზურგისკენ მაგარი და სწორე იყოს. ტყეში არ უნდა იყოს ბუჩქნარი, რომ მაშველი ჯარი და ვაზრების საბარგეები თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ ჯარისკენ. ტყის ასეთი ღირსება სამაგიეროდ მავნებელია ხალხურ მეომართათვის. ამიტომ ამ ომში მონაწილე გუნდები ცდილობენ, მოპირდაპირე ჯარები და ტრანსპორტები წააწყვიტონ ჭაობებს, ტალახებს, საფლობებს და ბუჩქნარს. უბარგოდ ყოფნა ამ გუნდებს ნებას აძლევს ასეთ ადგილებს შეძოუარონ და შემოურბინონ, წყალში გავიდნენ და გატოპონ კიდეც, მხოლოდ ნამდვილ ჯარს ასეთი ადგილი ჰღუპავს და ანადგურებს. ამას რომ დავუმატოთ ტყეში არა-იშვიათი ჩაღრმავებული ადგილები, რომლებიც ჩასაფრებას ხელს უწყობს, მაშინ ლაშქრის შესვლა ტყეში, რომელშიაც მოქმედობენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან შემდგარი გუნდები, ჰნიშნავს მის უკან აღარ გამოსვლას. ჩაჩანთა ბრძოლამ ეს თვალსაჩინოდ დაამტკიცა. თითქმის ორმოცი წელი იომეს და გაუძლეს გაწვრთნილ რუსის ჯარს თავიანთ თვალუწვდენელ ტყეების წყალობით. ტყემ დაჰკარგა თავისი სახალხო ომის ხელშემწყობი ღირსებანი მაშინ, როდესაც გრაფმა ევდოკიმოვმა აჩვენა ერთ ყაბარდოელ თავადს მთელი გროვები ცულებისა, ნიჩბებისა და წერაქვებისა და უთხრა: „აი, რით ვიომებთ ახლა თქვენს წინააღმდეგ"-ო, და, მართლაც, ამნაირ ომს შეუდგნენ და ტყე გაჩეხეს.

ტყე ალაგ-ალაგ თუ გაკაფულია სიგრძეზე, გზები, ხევები და მდინარეები პოზიციის გასწვრივ თუ არის, ყოველივე ეს ხელს უწყობს მტრის შეუპოვარ მოგერებას; ამავებს თუ სხვანაირი მიმართულება აქვთ, მაშინ ისინი სასარგებლონი არიან ზედ-დამსხმელისთვის, რადგანაც ბუნებრივ მისავალებს წარმოადგენენ მომგერებელთა პოზიციებთან, თუმცა შეიძლება მათის მნიშვნელობის მოსპობა გზების გადათხრითა და ჩახერგებით, ტყის ჩაკაფვითა და ნაკაფის წნელებით და პალოებით ღედამიწასთან მიმაგრებითაც.

საგერ ომისთვის სჯობია, რომ ტყე დაბურული და უღრანი არ იყოს. ტყეს შიგ მინდვრები უნდა ჰქონდეს; ტყის ნაპირიდან უკან დაწეულთათვის მინდვრების ნაპირები ისევ პოზიციებად გამოდგება. დიდი უღრანი ტყეები ადამიანმა ყოველ მხრივ დიდ მანძილზე უნდა დაზვეროს უთუოდ, საბრძოლველად კი ერთი ან ორი მხარე უნდა აირჩიოს. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ მტრის მომგერებელნი ყოველთვის ცოტანი არიან ხოლმე, ზედ-დამსხმელნი კი—მეტნი და მძლავრნი. ზედ-დამსხმელი ეკვეთება ტყეს, რომელშიაც უჩინარი გუნდნი მოქმედებენ, სხვადასხვა კუთხეებიდან შეუსიოს რაზმები და გუნდებს **ტაქტიკური წრე** შემოავლოს; ამ შემთხვევაში კი გუნდებს დარჩებათ ორი გზა: ან გაწყვეტა ხელჩართულ ბრძოლაში, ან იარაღის დაყრა და ტყვეობა. ხალხურ მეომართა ვალია, ამ ზომამდის თავის დღეში საქმე არ მიიყვანონ. მზვერავები რომ შეატყობინებენ, ისინი უნდა გასცდნენ იმ წრეს, რომელსაც მტერი გარშემორტყმას უპირებს. ტყის ცოდნა გუნდებს ადვილად იხსნის ამ გაჭირვებიდან.

ნამდვილ ჯარების შეტაკების დროს დიდი, უღრანი ტყეები თითქმის გამოუდეგარი არის. ტყის სასარგებლო და გამოსაყენი თვისებანი უქმდება მოწინააღმდეგე თვისებებით იმდენად, რომ საზოგადოდ დიდი ტყეები შეუძლებლადაც ხდის ტაქტიკურ მოქმედებას. სამაგიეროდ, ამ ტყეებს, როგორც გავეალთ ან, შედარებით, ძნელად გასატანებელთ, შესამჩნევი სტრატეგიული მნიშ-

---

*) ვისაც რა ადგილი უჭირავს საომრად, ის მისი პოზიციაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლხინზე, ვერც ტირილზე, ვერც ქორწილზე. არავინ დაელაპარაკება, ხელს ვერავინ გაუწვდის რამ საქმეში. ბაზარშიც ვერ ჩავა და ურილობაში ვერ გამოვა. აი, რას ჰქვია ბოიკოტი!

— კი, მართალია, ბოიკოტი მაგას ჰქვია, მარა ერთი ვიკითხოთ, ამ დამნაშავეს ხომ გასწორება სჭირია? კი! მაშ ჩვენგან თუ გავრიცხავთ, ვიდან გასწორის, ტყეში მხეციც არის, მარა არ გასწორებულა. ამიზა, მე მოვითხოვ, რომ ეს კაცები ჩვენში დარჩეს, მხოლოდ ბოდიში მოიხადონ საზოგადოების წინაშე. გურულ კაციზა ბოდიში დიდია!--წარმოსთქვა ერთმა ახალგაზრდამ.

— ჭკვიანური თქვა, ძალიან ჭკვიანური,—იგრიალა ხალხმა და ვაშას ძახილით მიეგება მას. მართლაც, გამოიყვანეს დამნაშავენი. იმათ ბოდიში მოიხადეს და სიტყვა დასდეს, რომ ფულსაც გადაიხდიან და მომავალშიაც გასწორდებიან.

— აწი რომ შეგვაწყრონ მაგფერ საქმეზე, მაშინ კი ვეღარ გაპატიებთ. ეგ კარგად იცოდეთ!—დაუმატა თავმჯდომარემ.

აი, ასე ჰუმანიურია ხალხის სასამართლო. ვუყურებდი და სიხარულით თვალები ცრემლებით მევსებოდა. რა ადრე შეიგნო ხალხმა სოლიდარობის პრინციპი!

— სხვა საქმეებს მომავალ კვირას გავარჩევთო,— გამოაცხადა თავმჯდომარემ და კრება დაიშალა. ყველანი კმაყოფილნი ბრუნდებოდნენ სახლში და მადლიერნი იყვნენ: „სუდში“ სათრევად საქმე აღარ გვაქვსო.

მან-მან.

კორესპონდენცია

—

სოფელი კარალეთი. აქ წინად ჩამტვრეული კანცელარია ისევ განაახლებინეს. გამკეთებინებლები იცინოდნენ, დაამტვრიეს, მაგრამ უფრო უკეთესად გავაკეთებინეთო; დაამტვრიონ კიდევ, თუ სასეიროდ დაინახონ. მართლაც, გაკოხტავებულ კანცელარიას ისევ ჩაამტვრია ვიღაცამ კბილები და ახლა დაღრეჯით გამოიყურება, აქამდე ტოლტანობით გახარებული. ამას ყურადღება არ მიაქცია ადმინისტრაციამ. არავითარი საგანგებო ზომები არ მიუღიათ, სანამ სახეც არ დაასვეს ამ უბად ადებულმა კარალელებმა. უნდა მოგახსენოთ, რომ აქაური დიდი მემამულე ბძანდება თ. ე-ვი, მინდვრის განუყოფლების მომრიგებელი შუამავალი. ხსენებული თავადი და გლეხობა შარშან დიდი ჩივილებისა და დავიდარაბის შემდეგ (გუბერნატორთან იყო მთელი სოფელი ფეხით, რამდენიმე კაციც იყო დაჭერილი „ერთობამდეც“) ერთმანეთში მორიგდნენ. რასაკვირველია, დაუთმო თავადმაც, დასთმეს გლეხებმაც. მაგრამ რაც შარშან „ურთობოდ“ გლეხებმა საკმაოდ ჩასთვალეს, წრეულს „ერთობის“ დროს ძრიელ იმძიმეს და გაზაფხულზედვე მებატონეს ბოიკოტი გამოუცხადეს. მას აქედ ასე მიმდინარეობდა საქმე. თუმცა ბევრიც დაიჭირეს ამ საქმეზე, კაზაკებიც ჩაუყენეს სოფელს, მაგრამ იმათ გაჭიქებას ვერა დააკვარეს. ახლა, ამ ერთი კვირის წინად, გლეხების ერთმა ნაწილმა შარშანდელ პირობაზე გაიარა, სოფლის პირი გატეხა და ბატონს მუქთად უმუშავა. მეორე გაფიცულმა ნაწილმა ეს იწყინა და სასოფლოდ დაუწყეს დარბევა სოფლის პირის გამტეხავებს. დარბეულებმა მიჰმართეს ბატონს, ბატონმა პოლიციას და ხელმეორედ ჩაუდგა კაზაკები საწყალ სოფელს. ვნახოთ, გატეხენ სოფლის „ერთობას“ თუ ვერა.

სოფელ ხელთუბანშიაც ეხნა შვიდ გუთანს მუქთად აქაურ მებატონე ქ—თვის. გაეგოთ სხვა სოფლელებს და ძალიან მუქრა შემოუთვალეს: ჩვენ მეათედზე შევიჭერით მებატონეები, სხვას არაფერს ვიხდით, ეს მეათედიც გვემძიმება და თქვენ მუქთ მუშასაც შველით და მიწებსაც უხნავთო? აბა, რაც მოგივათ მერე გაიგებთო. შეშინებული გუთნის დედები მეორე დღესვე მისულიყვნენ „ბატონებთან“ და შეჩივლათ, ესა ჩვენი საქმე და რათ დაგვღუპეთო. ჩვენი ცოლშვილის დაწიოკება რა მადლია თქვენთვისაო. მებატონეს ეთქვა, რომ ჯერ არა იქნება-რა და, თუ მოვა ვინმე, მე ვეტყვი, ვიყიდე ალოები, ვის რა საქმე აქვსო. ამით დაუმშვიდა თურმე გული შეშინებულ გლეხებს.

ამ ერთი კვირის წინად ერთ საცოდავ გლეხს ორი ხარი მოჰპარეს. საწყალს იმის მეტი არა გააჩნდა-რა. მეორე დღეს დადიოდა მოხუცებული პატრონი და საბრალოდ ტიროდა. წავიდა საჩივლელად პოლიციასთან:

— მიშველე, ბატონო, დამღუპეს, მიპატრონე რამეო.

— წადი, დაიჭირე ქურდი და მე გადავახდევინებო,—უბძანათ.

— თქვე დალოცვილო, თუ კი ქურდს დავიჭერ, ხომ უთქვენოდაც იმდენი გამოხნდება ღვთისნიერი კაცი, რომ გამომყვებიან და წამართმევენო,—ეთქვა გლეხს.

მაინც კაი კაცი ქვეყანაზე არ დაილევა. მეჯრუხეველებს ენახათ ის ოსები, ვინც ხარები დაიპარა, ეგონებინათ კიდეც, რომ ეგ ხარები დაპარულები იქნებაო, მაგრამ რაკი დანამდვილებით არ იცოდნენ, აბა, როგორ წაართმევდნენ. კითხვა-კითხვით მიაგნო პატრონმა და გლეხების დახმარებით თავისი ხარები შინ ჩამორეკა.

ტირიფონაშიც ბევრგან გამორეკა გლეხობამ მოიჯარადრენი და თვითონ დათიბა თივები. რაზმმა ზედ გადიარა, მაგრამ როგორც ამბობენ, არავისთვის ხმა არ გაუცია.

სოფელ ნაწრეტიდანაც გამორეკეს მოიჯარადრენი. ჩვენზე უპრიანია მამული, თუ გნებავთ მეათედს მოგცემთ, ჩვენ თვითონ გავთიბავთ თივებსაო.

იჯარადრეები ვერ არიან კაი გუნებაზე.

რ. ოდეთ.

—

ს. სოხუმი, 5 ივლისი. აქ, შუა ქალაქში, დამის 12 ს., ჯიბგირებმა რევოლვერით მოჰკლეს გიორგი კორტავა, რომელსაც ჯიბეში სულ 61 მან. და 95 კ. ჰქონდა, მაგრამ ჯიბგირებმა ფულის ამოღება ვერ მოასწრეს. ბოროტ-მოქმედნი მიიმალნენ. ექვსს ივლისს პოლიციამ დაატუსაღა ორი ჯიბგირი, რადგან ეჭვი მათზე მიიტანა.

როგორც მკითხველებს მოეხსენება, ქ. სოხუმში ერთობის საქმე ძალიან სუსტად მიდის, იმით რა თქმა უნდა, ქურდბაცაცებმაც ისარგებლეს და მათი რიცხვი ერთი სამად გამრავლდა.

ზემოხსენებული ხელობის პირები აქ, სოხუმში, განსაკუთრებით ერთ სასტუმროში ბინადრობენ. ჩვენ არ გვახსოვს ისეთი შემთხვევა ყოფილიყოს, რომ პოლიციის დამნაშავენი იმ სასტუმროში არ აღმოეჩინოს. 6 ივლისს, სოხუმლებმა განიზრახეს სოხუმიდან გარეკა, როგორც ჯიბგირებისა, ისე არა კეთილ საიმედო პირებისა.

ეს კი კაი მოსაზრებაა. ვუსურვებ სულით და გულით სოხუმლებს ამ განზრახვის ასრულებას.

იადონი

ნელობა აქვთ ჯარისთვის.

დიდ ტყეებში ბლომად არის ყოველთვის ნამი და ამიტომ ნიადაგი ასეთ ტყეებში ყოველთვის სველი და ჭაობიანია. მხოლოდ ტალახიან გზებით შეიძლება ასეთ ტყეებში გავლა და ეს გავლა ჯარისათვის მეტად ძნელი და სახიფათოა. ამნაირ გზაზე მთელი ლაშქარი შესდგება ერთ გუნდ მოპირდაპირეს დახვედრით. ჯარი უმწეოდ ჩერდება. მისს მებრძოლ ძალას წარმოადგენს ჯარის კაცთა პირველი ორი რიგი, რომელიც თავში მიდის და გზის სიგანეზე ეტევა. ქვებსა და ხეებს ამოფარებული გუნდები ადვილად დახვრეტენ და დახოცავენ ასე მიმავალ ჯარებს და თვითონ უვნებელნი დარჩებიან, ვიდრე ეს ჯარი ან გზას არ გადუხვევს, ან გვერდიდან თუ უკანიდან ან მოუვლის ჩასაფრებულ მტრის გუნდებს, ან კიდევ სირბილით არ გასცდება ამ მისთვის სახიფათო ადგილებს. ამნაირად ჯარის სვლას **დეფილე** ეწოდება, დეფილეს გვერდებიც სუსტი აქვს.

ტყიან ადგილებში მომქმედ ჯარს სხვა გაჭირვებაც მოელის ხოლმე. ტყიანი მხარე ყოველთვის ნაკლებად არის დასახლებული, ამიტომ იქ სურსათის შოვნაც ძნელდება. თვით ჰიგიენის მხრივ ასეთი ადგილები მავნებელია ჯარისთვის. მცხოვრებთა სიცოტავისა გამო, ჯარის სახლებში დაბანაკება შეუძლებელი ხდება.

დიდ, ულნარ ტყეებში ჯარს პატარ-პატარა რაზმებად უხდებათ ბრძოლა, თვალუწვდენელი ტყეები დაუსრულებელ ბრძოლის ასპარეზად არის გადაქცეული. მინდორში სუსტი გუნდები ტყეში ძლიერნი ხდებიან, ტყეში დაფარულნი თავისუფლად თარეშობენ და ყოველისავე მხრიდან აწუხებენ დაბანაკებულ ან მიმავალ ლაშქარს. რამდენად უფრო მალული, მოულოდნელი და სწრაფია მათი მოქმედება, იმდენად უფრო საშიში და დამღუპველია ლაშქრისთვის. სურსათის შოვნა მათ უადვილდებათ, გზები ხელმიწვდენით იციან და ლაშქარს მგლად ეჩვენებიან. ტყე მეომარ ხალხისთვის მშველელია და იმედი ბრძოლაში. ტყე ხალხის ქონებასა და ოჯახს ჰფარავს.—როდესაც ხალხი საბრძოლველად იშლება, ოჯახი ტყეში იხიზნება ყოველთვის. ამნაირ საშუალებით ხალხი ორნაირ მიზანს მიაღწევს—ცხოვრების სახსარს იტოვებს და მტერს კი იქ მოქმედებას უძნელებს: ეს მოხსენებული თვისებანი ტყეს მხოლოდ ზაფხულობით აქვს.

ყველგან და ყოველთვის მტერს ფორტიფიკაციის საშუალებითაც უნდა მიაყენოს ადამიანმა საჭირო ზიანი. ფორტიფიკაცია ურჩევს, რომ სანგრებსა და სიმაგრეებს გარდა, რომელიც ყოველ პოზიციაზე შენდება უთუოდ,—ტყეში ომის დროს ჩახერგვა ჩაკაფვა ვრცელის მასშტაბით მოხდეს.

ჩახერგვა და ჩაკაფვა არის **ადგილობრივი** და **გადასატანი**. ადგილობრივისათვის ხე ნახევრად უნდა მოიჭრას ისე, რომ წაიქცეს იქით, საიდანაც მტრის ზედდასხმაა მოსალოდნელი. ამის შემდეგ ხეებს წვრილ-წვრილი ტოტები და ფოთლები ეცლება, მსხვილი და ღონიერი ტოტები წაწვეტიანდება და ამნაირად მომზადებული ხეები, ერთმანეთზე გადახლართულ-გადაბმული, დედამიწაზე წნელებით და პალოებით მაგრდება. მტერმა ასეთი მომზადება რომ ვერ შენიშნოს, წინ უნდა დაერჭოს მწვანე, ახლად მოჭრილ-მოტეხილი, ფოთლიანი ხის ტოტები. შორიდან ეს ტოტები სრულებით უჩინარ-ყოფს ჩახერგვა-ჩაკაფვას. ასეთნაირად გამაგრებულ ტყის განაპირის აღება ბევრად უფრო საძნელო არის და მტერს ზარალიც შესამჩნევი მოუვა.

მტერი ამ წაწვეტილ ხეებს რომ წააწყდება, ბევრი მათგანი დაიჭრება და ეგება ამ წაწვეტილ ტოტებს: ამას გარდა, ისეთ მანძილზე შეფერხდება, რომ მას არც ერთი ტყვია აღარ ასცდება. ლაშქარი ეცდება ეს ხეები გადაყარ-გადმოყაროს, ტოტების გაკაფვას დაიწყებს, ვინაიდან მხოლოდ ასე შეიძლება ჩახერგილ ჩაკაფულ ადგილის აღება. ასეთი მოქმედება კი მოწინააღმდეგის ცხვირწინ ძვირად დაუჯდება იერიშით მომავალ ლაშქარს.

გადასატანი ჩახერგვა ისევე ხდება, როგორც ადგილობრივი. ხეები სრულიად იჭრება და გადაიტანება იქ, სადაც ტყე არ არის. ასეთი ჩახერგვა უფრო სუსტია, ვიდრე ადგილობრივი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ხეები, ფესვებს მოშორებული, მაგრდება დედამიწაზე. ამნაირად მომაგრებულ ხეების გადაყრ-გადმოყრა კი შედარებით ადვილია.

ერთის სიტყვით, ტყე თავის-თავად კარგი საფარი და მტრის მოსაგერებელი ადგილია და ამასთანავე, ფორტიფიკაციის წყალობით, იგი საშუალებას იძლევა, რომ მისი საგერი ძალა გაათკეცდეს, თუ კი საჭირო დრო ექმნება მომგერებელს და მეცადინეობასაც არ დაიშურებს.

სამხედრო კაცი

რაჭა, 5 ივლისი. თუმცა რაჭაში ამჟამად დიდი სიძვირეა ყოველგვარის სანოვაგისა—მაგრამ თუ ბუნებამ არ გვიმტყუნა, ახალი ჭირნახული, ჯერ-ჯერობით, დიდ იმედს გვაძლევს, ყველგან კარგი პირი უჩანს.

ხალხის მოძრაობა აქაც არის, მაგრამ არა ყველგან და არა ერთნაირად. მაგ., ქვემო რაჭაში იგი გამწვავებულია, ზემო რაჭა ახლა აპირობს გამოფხიზლებას, მხოლოდ მთის რაჭას კი ჯერ ისევ სძინავს. მიძინებულ მთის-რაჭის სოფლებში ყოველ გვარი ბეგარა გარდასახადები, როგორც მაგალითად: ფოსტის ფული, სახაზინო სათიბ-საბალახოს ბაჟები, კოდა-ბზიკა მამასახლისების, მოსე მყურნების და კანცელარიების ნავარ-იასაულთა ჯამაგირები, კვლავინდებურად მოთრასით იბოჭება. სამღვდელოების დრამას-კი ძლევამოსილი ბიუროკრატია, არ ვიცი რად, უყურადღებოდა სტოვებს.

რაჭის სატახტო ქალაქი, პაწია დაბა ონი, შუა ბაზარში... სიბინძურის ბუდედ გადაქცეულა.

სანამ დაბა ონში ცხენოსან კაზაკთა ლაშქარი დაბანაკდებოდა, ერთ აქაურ ხალხის ჭამია და არყის ულაპია ინტელიგენტს, რომელსაც მეტ სახელად ხუნხუზთა მეფეს უწოდებენ, ქვემო-რაჭის ხალხისაგან შემდეგი შინაარსის ეპისტოლე მიუვიდა: „ცოდვით სავსე ბატონო, ხუნხუზთ მეფევ! თქვენის წრეს გადასულის უდიერობით თავ-მობეზრებულ ქვემო რაჭის მოძრაობის ხალხი ამათ გაუწყებთ, რათა მიდებისთანავე ამა ჩვენ მიერ თქვენდამი წარმოგზავნილ ეპისტოლისა, მყის აიკრათ ბარგი და ცოდვების მოსანანებლად სადმე შორს უდაბნოსა, გაზისა და ურწყულს ქვეყანასა გადაკარგოთ, წ ნააღმდეგ შემთხვევაში, მზად ვართ:

აგიკლოთ, გაგანადგუროთ,
თავზე დაგცეთ რისხვის ზარი..

ამ ამბავმა მეტის მეტად დააღონა ხსენებული ინტელიგენტი, მაგრამ ისე უცბად ვერსაით მოახერხა გაპარვა და შიშისაგან შეხუთვილი, დიდხანს იყო ტუსაღივით გამომწყვდეული თავის კარ ჩაკეტილ სასახლეში. ბოლოს იპრიანა მასმა ბედმა და კარს მოადგა დაბა ონს, მაზრის უფროსისაგან რაჭაში მყუდროების დასაცველად გამოწერილი კაზაკთა ასეული. ასეთმა მოულოდნელმა შემთხვევამ, ვაჟბატონ ხუნხუზთ მეფეს, სალხინი ოფლი ადინა, კვლავ ფრთები შეასხა და დღესაც თავის მონა ხუნხუზებით თავისუფლად დათარეშობს აქა იქ რაჭველების დასარბევად.

ამ ორი კვირის წინად მთის რაჭის ს. ღების „კომერსანტებმა“, რომელთაგან პირველი თვით საზოგადოების მამასახლისი ბრძანდება, შემდეგი ოინბაზობა ჩაიდინეს: რადგან ფეხზე მოვაჭრე ურიები დიდ კონკურენციას უწევდნენ ღების „კომერსანტებს“ და ვერაფრით ვერ მოახერხეს მათი სოფლიდან განდევნა, მოისყიდეს ერთი აქაური, 11—12 წლის, უმაწვილი გლეხი, საჯაროდ ათქმევინეს: „სამუშაოდან მოვდიოდი გზაში ორნი ურიები დამხვდნენ, მათში გიტულაშვილი ელიაც იყო. მტაცეს ხელი დამიჭირეს და თუ ხელიდან არ დავსხლეტოდი და არ გავცეულიყავი, სადგისებით დაჩხვლეტას მიპრებდნენა. ბავშვის ამგვარმა უსაფუძვლო ტატინმა მეტად ააღელვა ღებლები და თუ იმ დროს სოფელში სადმე ურია დაენახათ, უსათუოდ ჩაჰქოლავდნენ. მეორე-მესამე დღეს შემდგომად ამ ამბის, ღებში მოვიდა ბრალდებული ურია ელო გიტულაშვილი და თუ არა ერთი აქაური ოჯახის შვილთაგანი, საბრალო ებრაელს ცუდი დღე დაადგებოდა. იმ დღეს აქეთია ჩვენ სოფლებში ურიებს აღარ გაუვლიათ. დარჩათ ბურთი და მოედანი „კომერსანტ“ მამასახლისსა და მისს ნოქრებს, რომლებიც მეწველ ფურივით, როგორც უნდათ, ისე სწველიან სოფლის ხალხს

რივნის თაველი

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

15 ივლისი.

ვლადივოსტოკი, 14 ივლისი. მთავარ-სარდლის ბრძანებით, ვლადივოსტოკის ციხის უფროსს გენ.-ლეიტენანტს ყაზბეგს საზღვაო უწყების ის მეზღვაურნი, რომელნიც ციხეში იმყოფებიან, მათ შორის კრეისერთა რაზმებიც. ნავთსადგურის უფროსი—მახლობელი თანაშემწე ციხის უფროსისა საზღვაო ნაწილის გამგებლობაში.

პარიზი, 14 ივლ. პეტერბურგიდან წასვლისას ვიტტემ უთხრა გამცილებლებს, საფრანგეთში ყოფნამ და ფრანგთა სტუმართ-მოყვარეობამ ძლიერ მასიამოვნაო. საფრანგეთის თანაგრძნობა დიდს დახმარებას გამიწევსო. პრესსის წარმომადგენლებს ვიტტე არაფერს ეუბნება რუსეთის შინაურ პოლიტიკაზე. ვიტტეს გაჰყვა გაზეთ „ტაიმს“-ის კორესპონდენტი მაკენზი უოლესსი. ორივენი ერთს გემში სხედან.

ოსტერბეი, 14 ივლისი. რუზველტი ორთავე მხრის წარმომადგენლებს მიიღებს 23 ივლისს კრეისერ „მეიფლაუერზე“, სადაც ისაუბრებენ კიდეც. შემდეგ რწმუნებულნი პორტ სმუტს გაემგზავრებიან.

ვაშინგტონი, 14 ივლისი. დიპლომატები ირწმუნებიან, კომურამ თავის მთავრობას პირობა დაუდო,—სანამ მოლაპარაკება დაიწყებოდეს, სესხი აიღეთ, სახალინი საბოლოოდ დაიპყარით, ვლადივოსტოკზე გაილაშქრეთ და საბოლოოდ დაამარცხეთ რუსები მანჯურიაშიო. საქმის კარგად მცოდნენი ირწმუნებიან, იაპონია მოითხოვს, რომ ვლადივოსტოკი სანეიტრალო ადგილად იქმნას აღიარებული და, სამაგიეროდ, აღუთქვამს, რომ პორტ-არტური არ გაამაგროს.

ნიუ იორკი, 14 ივლისი. ის ცნობა, რომ იაპონია კონტრიბუციად 200 მილიონ გირვ. სტერლინგს (დაახლოვებით 2 მილიარდ მანათს) მოსთხოვსო რუსეთს, მხოლოდ უბრალო განზრახვაა.

ტოკიო, 14 ივლისი. რუსების ჯარი ალკორში შესდგებოდა ერთ ბატალიონ ქვეითისა და რამდენისამე ასეულის თავისუფალ მეომრებისაგან; ჰქონდათ 8 საველე ზარბაზანი. იაპონელებმა ჯარი გადმოსხეს ეუგატაის და შეავიწროვეს და განდევნეს რუსები, რომელთაც 40,000 ტონნა ნახშირი და რკინის გზის საშენი მასალა წაართვეს. იაპონელთაგან ალექსანდროვის პორტის აღების შემდეგ, რუსებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს აღმოსავლეთად მდებარე წინა სიმაგრეებზე. მაგრამ 12 ივლისს იაპონელებმა გარეკეს ნოვომიხაილოვსკისაკენ, რომელიც იაპონელებმა ჩქარა აიღეს.

პეტერბურგი, 14 ივლისი. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, გაზეთი „ნოვოსტი“, მავნე მიმართულებისა გამო, შეჩერებულ იქმნა ორის თვით.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევს 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ს. 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის,

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპნანდე: ნაშუადღევს 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი შელკუნოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ასტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი.	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა.	20

დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთაველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 43 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ. საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მიმართეთ: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ **სოსიკო მერკვილაძე.** (20—11)

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი

ბრძოლა არსებობისთვის

დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად

და სხვადასხვა **ლექსები და პოემები დ.** გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—14)

პირველად ქართულს ენაზე

✦ **ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი** ✦

უცხო ←— ✦სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილ-განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასათვის გასაგების ენით და მაგალითებით,—რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი **იოსებ იმედაშვილის** მიერ. წიგნს დართული აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. **„უცხო ანდაზები და წინადადებანი,** რომელიც არა ერთგზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 სვ., დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქაღალდზე და ღირს მხოლოდ **1 მან.**, საუცხოო (ოქროს-ვარაყიან ასოებით დაბეჭდ.) კალენკორის ყდით—მანათ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 30 კ. წიგნი ფას-დადებითაც შეიძლება გაიწეროს. უმთავრესი საწყ. ტფილისში, ქვაშვეთის ქ., გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: **Тифлисъ, книжная торг. І. З. Имедашвили.**

(5—6.—4)

!! Остерегайтесь поддѣлокъ!!
ГИГІЕНИЧЕСКОЕ
Борно-Тимоловое Мыло
ПРОВИЗОРА
Г. Ф. Юргенсъ.

Уничтожаетъ веснушки, загаръ, желтыя пятна, прыщи, угри и дѣйствуетъ противъ излишней потливости и дезодорирующее. Рекомендуется, какъ благовонное туалетное мыло высшаго достоинства. **Золотая медаль, Лондонъ 1893 г.**
Цѣна за кусокъ 50 коп., 1/2 кус. 30 коп.
Продается во всѣхъ лучшихъ аптекахъ, аптекарскихъ и парфюмерныхъ магазинахъ.
Главный складъ для всей Россіи **Г. Ф. Юргенсъ,** въ Москвѣ. (19—მტც.—)

ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1. **ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა,** 2. **საზოგადო სავაჭროსა,** 3. **ბანკისას,** 4. **კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსია),** 5. **ფინანსიურ გამოანგარიშებასა,** 6. **არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით,** 7. **კომერციულ კორესპონდენციასა,** 8. **ვაჭრობის ისტორიასა,** 9. **ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.**

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან **7** საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის **10-ს 1905 წ.**

ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა იბეჭდება და მსურველთ უფასოდ შეუძლიანთ მიიღონ.

(15—5) **ალ. გ. საათაშვილი.**

საინტერესო და საყურადღებო ახალი რომანი

„ცხოვრება და სიყვარული“

წიგნი დიდი ზომისაა, დაბეჭდილია სუფთად, მშვენიერის კანით, მაგრა შეკერილი. შეიცავს 320 გვერდს და გაგზავნით ღირს **მხოლოდ ორ აბაზად.** იქავე ისყიდება „ლექსები და პოემები“ და მოთხრობა თანამედროვე ცხოვრებიდან „ვარინკას ამბავი“. თითო წიგნი შეიცავს ას გვერდზე მეტს და გაგზავნით ღირს მხოლოდ თითო აბაზად. გამოწერა შეიძლება მარკებითაც. მსურველთ მიმართონ სადგურ მიხაილოვში, ბათუმისკენ რკინის გზის ბილეთების გამყიდავ კასირს ჩარხიშვილს. Ст. Мих. кассиру Чархишвили. (5—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15 іюля 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.